

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში</b>						
<b>საქონლით ვაჭრობა</b>						
<p><b>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები:</b> ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება.</p>	<p>საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში (სექციების დონეზე) საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (NACE Rev. 2) მიხედვით</p>	<p>საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ხელმისაწვდომია ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში (სექციების დონეზე) საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (NACE Rev. 2) შესაბამისად</p>	<p>საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები მონაწილე სუბიექტების საქმიანობის სახის ჭრილში საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (NACE Rev. 2) შესაბამისად</p>	<p>სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური</p>		<p>დასრულდა საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების დაკავშირება ბიზნეს რეგისტრის ბაზასთან. 2018 წლის ოქტომბრიდან დაიწყო საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების გავრცელება ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ახალი ვერსიის (NACE Rev.2) სექციების მიხედვით.</p> <p>2018 წლის სამოქმედო გეგმა საქსტატის მიერ შესრულდა სრულად.</p>
<p><b>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები:</b> საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაციის გაზრდა, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე ახალი პროდუქტების ექსპორტის მხრივ.</p>	<p>EEN-ში მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა</p>	<p>ახალი ბიზნეს კავშირების ხელშეწყობა ქართულ და ევროპულ მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის</p>	<p>EEN-ში ქართველ მეწარმეთა გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;</p> <p>EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირებული ქართული კომპანიების გაზრდილი რაოდენობა</p>	<p>სსიპ - აწარმოე საქართველოში</p>	<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო</p>	<p>2018 წლის მონაცემებით, EEN-ის პლატფორმაზე განთავსდა ქართული კომპანიების 11 ახალი კომერციული წინადადება. ატვირთულია დამატებით ერთი წინადადება მოლოდინს რეჟიმში გარე განმხილვევის მხრიდან.</p> <p>ასევე, მოხდა ორი ქართული კომპანიის დაკავშირება ევროპულ ბიზნეს პარტნიორებთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.</p>
	<p>ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო მისიებში და</p>	<p>ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია</p>	<p>ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო მისიებში და</p>	<p>სსიპ - აწარმოე საქართველოში</p>	<p>ეკონომიკისა და მდგრადი</p>	<p>2018 წლის მონაცემებით, 79-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	გამოფენებში ქართველი ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა	საერთაშორისო ბაზრებზე; ახალი ბიზნეს კავშირები და დივერსიფიცირებული ექსპორტი	გამოფენებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა		განვითარების სამინისტრო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო	ქვეყნებში გამართულ შემდეგ სავაჭრო მისიებში, გამოფენებსა და კონფერენციებში:  - ტყავისა და ტყავის პროდუქტების მიმართულებით „LineaPelle“ (მილანი, იტალია) - 3 კომპანია. გაფორმებული კომერციული კონტრაქტების ჯამური ღირებულება \$ 125,000; - Paris Fashion Week-ის თანმდევი ღონისძიება “Moredash Showroom“ (პარიზი, საფრანგეთი) – 8 კომპანია; - სათამაშოების მწარმოებელი კომპანიების საერთაშორისო გამოფენა „Spielwarenmesse“ (ნიუნბერგი, გერმანია) – 3 კომპანია. გაფორმებული კომერციული კონტრაქტების ჯამური ღირებულება \$ 20,000; - Messe Frankfurt Exhibition GmbH (ფრანკფურტი, გერმანია) გამოფენა - 1 კომპანია; - JVF - საიუველირო ნაწარმის გამოფენა იტალიაში - 3 მეწარმე; - Paris Fashion Week-ის თანმდევი ღონისძიება (პარიზი, საფრანგეთი) – 7 კომპანია (მოდის დიზაინის წარმომადგენლები); - London Startup Grind- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების კონფერენცია ლონდონში - 7 IT კომპანია; - Paris Fashion Week-ის თანმდევი ღონისძიება - 12 კომპანია; - BIJORCHA - საიუველირო ნაწარმის გამოფენა პარიზში, საფრანგეთი - 8 კომპანია; - LISBON WEB SUMMIT 2018 - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების კონფერენცია, ლისაბონი, პორტუგალია -11 კომპანია; - SIAL Paris - საკვებისა და სასმელის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოფენა, პარიზი, საფრანგეთი, 16 კომპანია - 5 მლნ. ევროს კონტრაქტები.

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სამივე Paris Fashion week-ის თანმდევ ღონისძიებაზე გაფორმებული კომერციული კონტრაქტების ჯამური ღირებულება შეადგენს 0,8 მილიონ ევროს.
	მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ა და/ან ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოები	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოების რაოდენობა	სსიპ -აწარმოე საქართველოში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018 წლის მდგომარეობით, სსიპ - აწარმოე საქართველოში ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით დაეხმარა 102 ბიზნეს პროექტს, მათ შორის 65 საწარმოსა და 37 სასტუმროს. აღნიშნული 102 პროექტის ჯამური ინვესტიციის მოცულობა არის 219 მლნ. ლარზე მეტი და დამატებით შეიქმნება 3,200 ახალი სამუშაო ადგილი.
	მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment – TNA)	სასტუმრო ინდუსტრიაში TNA კვლევაზე დაყრდნობით განხორციელებული ახალი პროექტი	TNA კვლევაზე დაყრდნობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა	სსიპ- აწარმოე საქართველოში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ევროპის სასწავლო ფონდის (ETF) მხარდაჭერით, დასრულდა მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასების კვლევაზე დაყრდნობით სასტუმრო ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის ჩატარებული სამუშაო ანგარიში. კვლევა ასევე მოიცავს რეკომენდაციების ნაწილს აღნიშნული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულ ორ ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის პროცესში გამოვლენილია შემდეგი გამოწვევები: მომხმარებელზე ორიენტირებულობა, კომუნიკაციის უნარები, უცხო ენების ცოდნა და კომპიუტერული უნარ-ჩვევები.
	ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობადობის ამაღლება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებში	DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებში ინფორმირებულ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა	ბენეფიციარების და სხვა დაინტერესებული მხარეების რაოდენობა, რომლებსაც გაეწიათ კონსულტაცია DCFTA-სთან დაკავშირებით	სსიპ - აწარმოე საქართველოში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018 წლის მდგომარეობით, DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია სააგენტოს 140 ბენეფიციარსა და დაინტერესებულ პირს, მათ შორის სათამაშოების მწარმოებელ 20 კომპანიას, საფეიქრო ინდუსტრიაში მომუშავე 50 კომპანიას ქ. ქუთაისში, არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე 30 კომპანიას, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის 20 ბენეფიციარს და 20 ინდივიდუალურ პირს.

ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება</b>						
ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: იმ კანონმდებლობის შემუშავება, რომლის განხორციელების ვალდებულებაც საქართველომ აიღო ასოციირების შესახებ შეთანხმებით, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) სტრატეგიის შესაბამისად	ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2014/34/EU დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება პოტენციურად ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელ მოწყობილობებსა და დამცავ სისტემებს	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მიღებული ნორმატიული აქტი,	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტი ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“. შესაბამისი უწყებებიდან მიღებული და განხილული იქნა კომენტარები. რეგლამენტის დამტკიცება მთავრობის დადგენილებით მოხდება მომდევნო წელს DCFTA-ის III-A დანართის ცვლილებების შესახებ ვაჭრობის საკითხებზე ასოციირების კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად.
	ევროპის პარლამენტის და საბჭოს № 214/53/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მიღება, რომელიც ეხება რადიო დანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ დანადგარებს და მათი შესაბამისობის ორმხრივ აღიარებას	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მიღებული ნორმატიული აქტი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ევროკომისიის Twinning პროექტის ფარგლებში, ევროპელ ექსპერტებთან ერთად მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „რადიოაპარატურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
	საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება, მათ შორის 2014/34/EU და 214/53/EC	საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების რაოდენობა	სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018 წლის მდგომარეობით სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 1946 სტანდარტი, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> <li>➢ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 124;</li> <li>➢ სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) - 4;</li> <li>➢ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი ) -1778;</li> </ul>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	დირექტივებთან ჰარმონიზებული სტანდარტების					<p>➤ სსტ ეტსი (ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტი)-40;</p> <p>მათ შორის სსტ ენ (ქართულენოვანი) – 10; სსტ ისო (ქართულენოვანი)-20.</p> <p>საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ETSI-ის შორის გაფორმდა მემორანდუმი, რის შედეგადაც სააგენტო ოფიციალურად გახდა ETSI-ის სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო საქართველოში.</p>
	მეტროლოგიის სფეროში დირექტივებთან MID 2014/32/EU (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI 2014/31/EU (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	დირექტივებით განსაზღვრულ სფეროებში მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების გაუმჯობესებული უნარები	ერთ-ერთი შერჩეული გაზომვის საშუალებისათვის MID ან NAWI მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადებული შიდა პროცედურის პროექტი	სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<p>2018 წ. 22-26 იანვარს Twinning პროექტის (საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირის შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის) ფარგლებში სააგენტოში იმყოფებოდა ევროპელი ექსპერტი. მისი ფარგლებში ექსპერტის მიერ ჩატარდა სემინარი MID ან NAWI დირექტივების მოთხოვნებზე, ნოტიფიცირებულ ორგანოებზე, მოხდა ინფორმაციის გაცვლა და ევროპული გამოცდილების გაზიარება სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის.</p> <p>დასრულდა NAWI დირექტივასთან ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტის EN 45501 თარგმნის პროცესი.</p>
	ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში, ISO 9001:2015 შესაბამისად	სააგენტოს შიდა პროცესების ეფექტიანობის გაზრდა და დაინტერესებული პირებისათვის გაწეული მომსახურების	ევროპელი ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები ხარისხის მენეჯმენტის სისტემაზე	სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<p>Twinning პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში დასრულდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვისათვის აუცილებელი პროცესების იდენტიფიკაცია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების</p>

ასოციაციის შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		გაზრდილი ხარისხი				გათვალისწინებით, მიმდინარეობს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა.
	აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში განახლებული ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის მოთხოვნების ასახვა	აკრედიტაციის ცენტრის წესები და პროცედურები შეესაბამება განახლებული ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის მოთხოვნებს	შემუშავებულია აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში შესატანი ცვლილებების პირველადი ვერსიები	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აკრედიტაციის ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიების ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტის მიერ შემუშავდა საგამოცდო/დამკალიბრებელი ლაბორატორიების ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტზე გადასვლის გარდამავალი დებულება. დოკუმენტი გამოქვეყნდა აკრედიტაციის ვებ-გვერდზე. იმავდროულად, მოხდა ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის თარგმნა. რის შემდეგაც აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში მოხდა ახალი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის მოთხოვნების იმპლემენტაცია. აკრედიტაციის ცენტრმა დაიწყო შეფასებები ახალი სტანდარტის შესაბამისად.
	აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში განახლებული ISO/IEC 17011:2017-ის სტანდარტის მოთხოვნების ასახვა	აკრედიტაციის ცენტრის წესები და პროცედურები შეესაბამება განახლებული ISO/IEC 17011:2017-ის სტანდარტის მოთხოვნებს	შემუშავებულია აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში შესატანი ცვლილებების პირველადი ვერსიები	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში იმპლემენტირებულია ახალი სსტ ისო/იეკ 17011:2017/2018 სტანდარტის მოთხოვნები.
	აკრედიტაციის ცენტრის მიერ EA-ს აღიარების შენარჩუნების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება	აკრედიტაციის ცენტრის მიერ საერთაშორისოდ აღიარებული სერვისების მიწოდება	შენარჩუნებული საერთაშორისოდ აღიარებული სფეროები	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EA-ს და აკრედიტაციის ცენტრს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული EA-ს ტექნიკური კომიტეტების მუშაობაში.  აკრედიტაციის ცენტრის მიერ, აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში იმპლემენტირებულია ახალი სსტ ისო/იეკ 17011:2017/2018 სტანდარტის მოთხოვნები.

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						აღნიშნული სტანდარტის იმპლემენტაცია გადამოწმდა EA-ს შეფასების ფარგლებში, რომლის დროსაც დადასტურდა, რომ საკ-ი ფუნქციონირებს ახალი სტანდარტის შესაბამისად.
	განაცხადის გაკეთება EA-ში აღიარების სფეროს გაფართოების მიზნით (ISO 15189)	განაცხადის გაგზავნა EA-ში და მათი მხრიდან შეფასების განხორციელება	განაცხადი გაკეთებულია EA-ში აღიარების სფეროს გაფართოების მიზნით (ISO 15189)	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018 წლის თებერვლის თვეში აკრედიტაციის ცენტრმა ოფიციალური განაცხადით მიმართა EA-ს სამდივნოს აღიარების სფეროს სსტ ისო 15189 სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციის გაფართოების თაობაზე, რაზედაც EA-ს სამდივნოდან მიღებულია დადებითი პასუხი. 2018 წლის ნოემბერში ჩატარდა აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასება EA-ს მხრიდან აღიარებული სფეროების შენარჩუნების მიზნით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი იყო ახალი, სამედიცინო ლაბორატორიების სფეროს შეფასება.  EA-ს მიერ სამედიცინო ლაბორატორიების შეფასება აღიარების მიზნით დაგეგმილია 2019 წლის იანვარში.
ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება	პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	დაინტერესებული მეწარმეებისათვის მეტროლოგიური სერვისების გაზრდილ რაოდენობაზე ხელმისაწვდომობა	გაზომვის 2 მიმართულებით ეტალონური ლაბორატორიებისათვის დამატებით შეძენილი ახალი ხელსაწყოები	სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	გრძელდება ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვის პროცესი. 2018 წელს ელექტრობის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა თანამედროვე აღჭურვილობა რამაც საშუალება მისცა ლაბორატორიას ჩაენაცვლებინა მოძველებული აპარატურა და განეახლებინა ეტალონური ბაზა. ასევე მოხდა დამატებითი აღჭურვილობის შეძენა ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილებისათვის, როგორც სააგენტოს მიერ ასევე მიმდინარე Twinning პროექტის ფარგლებში.  ასევე, მოხდა გარემო პირობების (ტემპერატურა, ტენიანობა, წნევა) მონიტორინგის ხელსაწყოების შეძენა მეტროლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიებისათვის. ამასთან, შეძენილ იქნა პრეციზიული ლაბორატორიული სასწორები

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული მეტროლოგიისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილებებისათვის. მექანიკის ეტალონური განყოფილების საჭიროებისთვის III კვარტალში შეძენილ იქნა შმიდტის ჩაქუჩის დასაკალიბრებელი გრდემლი. შესყიდვის პროცესი გაგრძელდება საერთაშორისო შემოწმების შედეგებიდან და მათი რეკომენდაციებიდან გამომდინარე. დაწყებულია გათვალისწინებული აპარატურის შესყიდვის პროცესის მომსახურებელი სამუშაოები - აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება და შეთანხმება.</p>
	<p>მეტროლოგიის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება</p>	<p>საწარმოებისათვის, ლაბორატორიებისათვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის მეტროლოგიური სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა</p>	<p>მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციაში (COOMET) განაცხადის გაკეთება აღიარების სფეროების თაობაზე და COOMET მიერ ე.წ. თანასწორთა შეფასების (peer review) ჩატარება</p>	<p>სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>2018 წლის გეგმის შესაბამისად ჩატარდა მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონების მიკვლევადობის უზრუნველყოფის სამუშაოები - ეტალონების დაკალიბრება საზღვარგარეთ შესაბამის ინსტიტუტებში გერმანია PTB-მასა; ჩეხეთი CMI - ელექტრობა, წნევა, ტემპერატურა; უკრაინა UkrMetrTestStandard - რადიოფიზიკა, ოპტიკა, აკუსტიკა; ბრიტანეთი NPL- ტენიანობა; ბელორუსი BelGIM - სიგრძე.</p> <p>შესრულებულია სამუშაოები ეტალონების საერთაშორისო შედარებებისათვის შემდეგ სფეროებში - მცირე მოცულობა პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტი, სიგრძე - უკრაინა, წნევა- ჩეხეთი, ტენიანობა - დიდი ბრიტანეთი.</p> <p>სააგენტოს მიერ ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მხრიდან აღიარებისათვის საჭირო პროცედურები. სააგენტომ წარმატებით მოახდინა პირველ ეტაპზე ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პრეზენტაცია COOMET-ის ტექნიკურ კომიტეტზე, 2018 წლის იანვარში.</p> <p>2018 წ. 1-3 ოქტომბერს ჩატარდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ლაბორატორიების საერთაშორისო შეფასება მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის (COOMET) ექსპერტების მიერ. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურმა ლაბორატორიებმა - გეომეტრია (სიგრძის გაზომვები), მასა, მცირე მოცულობა, წნევა, ტემპერატურა და ტენიანობა, ელექტროგაზომვები, მაიონიზებული გამოსხივება - წარმატებით გაიარა შეფასება, რის საფუძველზეც მოხდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების საერთაშორისო აღიარება აღნიშნულ სფეროებში (აღიარების სერტიფიკატი QFS-R58).</p>
	<p>ინფორმაციული მენეჯმენტის სისტემის შემუშავება სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტისათვის</p>	<p>გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისები</p>	<p>შემუშავებულია და გაშვებულია სისტემების საპილოტე ვერსია</p>	<p>სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>CIB პროგრამის ფარგლებში სააგენტოში მიმდინარეობს პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მხარდაჭერა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემებში“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემების ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება. მიმდინარე ეტაპზე პროცესების დეტალური სქემები ძირითადად შემუშავებულია და მიმდინარეობს პროგრამის სატესტო ვერსიის შემუშავება, საქართველოს სტანდარტების ბაზის სტანდარტიზაციის საერთაშორისო (ISO/IEC) და ევროპული ორგანიზაციების ბაზებთან (CEN, CENELEC, ETSI) სინქრონიზაციის სამუშაოები, სააგენტოს შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.</p>
<p>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური</p>	<p>დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება</p>	<p>დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაზრდილი ცნობიერება სტანდარტებისა და</p>	<p>შეხვედრებისა და მასში მონაწილე მეწარმეების რაოდენობა</p>	<p>სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>2018 წლის 7-8 თებერვალს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა ჩაატარეს თეორიული და პრაქტიკული სემინარი თემაზე: „სასწორებისა და საწონების გამოყენება ლაბორატორიებში - ძირითადი პრინციპები, მომსახურება და ხარისხის უზრუნველყოფა“</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ოპერატორების, მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა, დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისთვის		მეტროლოგიის სფეროში				<p>საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2018 წლის 15 თებერვალს Twinning პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა „სტანდარტიზაციის მარკეტინგის სტრატეგიის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს ტექნიკური კომიტეტების („სასურსათო პროდუქცია“; „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“; „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“) წარმომადგენლებმა.</li> <li>• 2018 წლის 22-23 თებერვალს, სააგენტოსა და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ორგანიზებითა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი „ისო 50001-ენერგო მენეჯმენტის სისტემებზე“.</li> <li>• 2018 წლის 14 მარტს გაიმართა საჯარო ლექცია „საერთაშორისო სტანდარტიზაციის სისტემების შესახებ“, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან.</li> <li>• სააგენტოში მიმდინარე Twinning პროექტის ფარგლებში 2018 წლის 17 მაისს თელავის მუნიციპალიტეტში, 19 ივლისს ზუგდიდში და 18 დეკემბერს რუსთავეში ჩატარდა ცნობადობის ამადლების სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მეწარმეებმა კვების პროდუქტების, ღვინისა და თაფლის, თხილის, წარმოების სექტორიდან და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.</li> <li>• 2018 წლის 20-24 აგვისტოს ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „development and maintenance of the Eurocode's design system in Georgia“ ფარგლებში, განხორციელდა სააგენტოს სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) სამუშაო ჯგუფის</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>„ევროკოდები“ წევრების ვიზიტი ლატვიაში, ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროექტი შემუშავდა სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტების ეროვნული ორგანოს (LVS) მიერ.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2018 წ. 24 ოქტომბერს ქ.თბილისში საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა და twinnig პროექტის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემით „ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილება სტანდარტებსა და მეტროლოგიაში“ კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ სავაჭრო და სამრეწველო სფეროს განვითარების შესახებ ევროპული გამოცდილების გაზიარება და ქართული მხარისთვის კონსულტაციების გაწევა ბინზნესის განვითარებისთვის.</li> <li>• 2018 წლის 7 ნოემბერს პროექტის „development and maintenance of the Eurocode's design system in Georgia“ ფარგლებში, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ (GeoSTM) ლატვიის სტანდარტების ორგანოსთან (LVS) ერთად გამართა კონფერენცია „საქართველოში ევროკოდების დანერგვის შესახებ“, ამ სფეროში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.</li> </ul>
<p>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: კადრების შემდგომი ტრეინინგი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და სააგენტოების მართვისთვის;</p>	<p>სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p>სააგენტოს თანამშრომლების ამაღლებული კვალიფიკაცია</p>	<p>GEOSTM-ის თანამშრომლებისათვის ჩატარებული სემინარების/ტრეინინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ სტანდარტები სა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიმდინარე Twinning პროექტის ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებისათვის ტარდება კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები როგორც სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის ასევე PR, კომუნიკაციების, მარკეტინგის საკითხებზე.</li> <li>• მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ ლაბორატორიებში, ევროპელი ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარები და ტრეინინგები შემდეგ სფეროებში: ტენიანობა, მცირე მოცულობა, ფიზიკური გაზომვები, აკუსტიკური გაზომვები,</li> </ul>

ასოციაციის შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ოპტიკა, სიგრძე, ტემპერატურა, რადიაციული გაზომვები -დოზიმეტრია, ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სემინარები სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალ ვერსიაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხორციელდება მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტები/სტაჟირებები ევროპის ქვეყნების წამყვან მეტროლოგიის ინსტიტუტებში: მცირე მოცულობა - პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტი; ტენიანობა - გერმანიის აკრედიტებული ლაბორატორია; სიგრძე - ლატვიის მეტროლოგიის ცენტრი; სასწავლო ვიზიტი/ტრენინგი ISO/IEC 17025-ის ახალ ვერსიაზე თურქეთი, რეგიონთაშორისი სტანდარტიზაციის ორგანოს ეგიდით, ტემპერატურა და ტენიანობა - პოლონეთის მეტროლოგიის ინსტიტუტი; ელექტრობა-გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტი; დოზიმეტრია - იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტი.</li> <li>• Twinning პროექტის ფარგლებში სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სემინარები სტანდარტიზაციის სფეროში მარკეტინგისა და ხარისხის მენეჯმენტის საკითხებზე.</li> <li>• 2018 წლის 6-9 მარტს, მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის TC 1.6 „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“ მცირე მოცულობის მუშა ჯგუფის ტრენინგში, რომელიც ჩატარა გერმანელმა ექსპერტმა. სემინარზე დაიგეგმა საერთაშორისო შედარება მცირე მოცულობაში, სადაც პილოტი ლაბორატორია იქნება საქართველო.</li> <li>• 2018 წლის 19-23 მარტს, სააგენტოს წარმომადგენლები Twinning პროექტის ფარგლებში, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ დიდ ბრიტანეთში, ხარისხის მენეჯმენტის</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>სფეროში არსებული ინსტიტუციების გამოცდილების გაზიარების მიზნით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2018 წლის 27-30 აგვისტოს, მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალური მეტროლოგიური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრაში ბოსნია-ჰერცეგოვინაში (ქ. სარაევო). ტექნიკური კომიტეტის შეხვედრაზე საქართველოს მიერ დარეგისტრირდა ორი შედარება მცირე მოცულობის სფეროში.</li> <li>• 2018 წლის 11-12 სექტემბერს საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის TK1.10 „თერმომეტრია და თბოფიზიკა“ სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ექსპერტებმა.</li> <li>• 2018 წლის 4-5 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ხარისხის ფორუმის ტექნიკური კომიტეტის სხდომა, სადაც საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტს გადმოეცა საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატი QSF-R58.</li> <li>• 2018 წლის 8-12 ოქტომბერს Twinning პროექტის ფარგლებში სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისა და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი სტანდარტების მიღების, თარგმნის, ISO-ს სახელმძღვანელო დოკუმენტისა (ISO Guide 21-1), კომიტეტების როლის შესახებ.</li> <li>• 2018 წლის დეკემბრის თვეში სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების</li> </ul>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ინსტიტუტის (ETSI) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში „ETSI OSA Workshop Open Implementations and Standardization“, რომელიც გაიმართა 2018 წლის 11-13 დეკემბერს, ქ. სოფია ანტიპოლისში, საფრანგეთი.
	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით	სააგენტოს თანამშრომლების გაზრდილი კომპეტენცია ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით	ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)		<p>მიმდინარე Twinning პროექტის ფარგლებში, წლის პირველ კვარტალში სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები ბავშვებისათვის რეზისტენტულ სანთებელბთან და შეცდომაში შემყვან პროდუქტებთან დაკავშირებით. ტრენინგებს ასევე დაესწრნენ საქართველოში სანთებლების იმპორტიორი კომპანიების და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები.</p> <p>მეორე და მესამე კვარტალში ჩატარდა ტრენინგები სამშენებლო პროდუქტებთან დაკავშირებით, კერძოდ ცემენტი, ელექტრო კაბელები, არმატურა, პლასტმასის მილები; ასევე ჩატარდა ტრენინგი ფეთქებადსაშიშ გარემოში მომუშავე მოწყობილობებთან და სისტემებთან დაკავშირებით.</p> <p>მეოთხე კვარტალში ჩატარდა ტრენინგები ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელ ელექტრო მოწყობილობებთან და ასევე სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და მათი რისკის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.</p> <p>ასევე, სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ე.წ. ტრენინგების ტრენინგი, სადაც გადმოცემული იქნა ტრენინგის ჩატარების პრინციპები, მეთოდები და ტექნიკა.</p>
	საბაჟო ორგანოებსა და სააგენტოს წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სწავლებების	გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობის პროცესი	ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული	სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის	სსიპ შემოსავლების სამსახური	2018 წლის პირველ კვარტალში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ Twinning პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგს შეცდომაში შემყვან პროდუქტებთან

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ჩატარება განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელებისა და კოორდინირების მიზნით.		თანამშრომლების რაოდენობა	სააგენტო (TCSA)		დაკავშირებით. ასევე ჩატარდა შეხვედრა ევროკავშირის ექსპერტებსა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს შორის პროექტის ფარგლებში საბაჟოსთან დაკავშირებით ჩასატარებელი ტრენინგების მიმართულებებისა და საჭიროებების განსასაზღვრად.  ბრიტანელი და ლიეტუვას ექსპერტები, სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდნენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სადაც ჩატარეს პრეზენტაცია თავიანთი ქვეყნების საბაჟო ორგანოების მუშაობასთან და მათ ბაზრაზე ზედამხედველობის ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხებზე.
ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები: ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის განხორციელების გაგრძელება	ბაზრის ზედამხედველობის მიზნისთვის შერჩეულ სეგმენტებზე საპილოტე ბაზრის კვლევის განხორციელება	არსებული ბაზარი შერჩეული სეგმენტში შესწავლილია და სააგენტოს თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი უნარები	განხორციელებული საპილოტე კვლევა	სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)		მიმდინარე Twinning პროექტის ფარგლებში განხორციელდა პილოტური კვლევა სამშენებლო პროდუქტების - ცემენტისა და პლასტმასის მილების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები: ბაზრის ზედამხედველობის სფეროში, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების და ბარის ზედამხედველობის ორგანოების ადმინისტრაციული უნარების გაძლიერება;	TCSA-ის კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებული დირექტივებით დაფარულ პროდუქტებზე ზედამხედველობის განხორციელებისათვის სახელმძღვანელოების/სამოქმედო ინსტრუქციების და რისკის ანალიზის პროცედურის შემუშავება	ბაზარზე არსებული რისკების შეფასება ხორციელდება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად	მომზადებული სახელმძღვანელოები/სამოქმედო ინსტრუქცია და რისკის ანალიზის პროცედურა	სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA)		საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №539 დადგენილებით დამტკიცდა „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №540 დადგენილებით დამტკიცდა „ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ წესი.

ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები</b>						
<p>ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს სურსათის და ცხოველის საკვების, მცენარეთა ჯანმრთელობისა და ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების, კეთილდღეობის კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროკავშირთან დაახლოებისთვის მოსამზადებლად, ასოციირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართების მიხედვით.</p>	<p>საკანონმდებლო დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოციირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული კანონმდებლობა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში</p>	<p>მიღებული ნორმატიული აქტების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო</p>	<p>საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სიის შესაბამისად, 2018 წელს დასახლოებლად განსაზღვრული აქტებიდან 5 აქტი, ვაჭრობის საკითხებზე ასოციირების კომიტეტის სამოქმედო დასკვნების მიხედვით, მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის არარელევანტურად.</p> <p>ევროკავშირის დანარჩენ აქტებთან დაახლოების მიზნით შემუშავებულ და მიღებულ იქნა შემდეგი საქართველოს მთავრობის დადგენილებები:</p> <p><b>სურსათის უვნებლობა:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილება მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ;</li> <li>2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №548 დადგენილება “ტექნიკური რეგლამენტის - გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობისა და ეტიკეტირების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან წარმოებული სურსათის/ცხოველის საკვების მიკვლევადობის დამტკიცების შესახებ”;</li> <li>3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილება „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“;</li> </ol> <p><b>ვეტერინარია:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>4. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილება ბლუთანგის აღმოფხვრასა და კონტროლთან</li> </ol>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ;</p> <p>5. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №551 დადგენილება „შინაური ბინადარი ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაკომერციული გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“;</p> <p>6. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №587 დადგენილება „ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“;</p> <p>7. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“;</p> <p><b>მცენარეთა დაცვა:</b></p> <p>8. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №516 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდების დამტკიცების შესახებ;</p> <p>9. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №553 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ბოსტნეულისა და ბაღჩეულის გასამრავლებელი (გარდა თესლისა) და სარგავი მასალის ბაზარზე განთავსების პროცედურების დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №556 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გარდა კონტროლისათვის განსაზღვრულ სხვა ადგილზე მცენარეების,</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>მცენარეული პროდუქტების და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების იდენტიფიკაციის შემოწმების და მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის პროცედურებისა და პირობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №588 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ვაზის ვეგეტატიური გამრავლებისთვის საჭირო მასალების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>12. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №591 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – დაცული ზონისა და მცენარის პასპორტის დამტკიცების თაობაზე“;</p> <p>13. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №661 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;</p> <p>14. „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.</p>
<p>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები: საინფორმაციო</p>	<p>საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ევროკავშირის ბაზარზე</p>	<p>სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა</p>	<p>ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო</p>	<p>1. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩეხეთის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობისა და კვლევითი ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სეს-ის მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>კამპანიის ორგანიზება შესაბამის სააგენტოებთან, ბიზნესებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად საჭირო მოთხოვნების თაობაზე და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან - სურსათისა და ცხოველთა საკვების უსაფრთხოების, შესაბამისი სამომხმარებლო ასპექტების თაობაზე;</p>	<p>საქართველოში წარმოებული პროდუქტების დაშვების მოთხოვნებთან დაკავშირებით სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან</p>					<p>გამლიერებას, ჩაატარეს პრეზენტაცია შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, შემდეგ თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნეს ოპერატორთა რეგისტრაცია;</li> <li>• ფიტოსანიტარული სერტიფიკატი;</li> <li>• პესტიციდები და სასუქები;</li> <li>• მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა;</li> <li>• ძირითადი საერთაშორისო სავაჭრო მოთხოვნები.</li> </ul> <p>აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ სეს-ის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები, სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები, ბიზნეს-ოპერატორები და ფერმერები.</p> <p>2. 2018 წლის 12 ივნისს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველო ევროპულ გზაზე“ ორგანიზებით, DCFTA-ს ცენტრალურ საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელმა. აღნიშნული მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს სტრუქტურირებული კომუნიკაცია მცირე და საშუალო საწარმოებს (SME), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციებს შორის, რათა ის მოთხოვნები, რეკომენდაციები და პრობლემები, რომელიც SME-ებს საქართველოში DCFTA-ის იმპლემენტაციის პროცესში გააჩნიათ, რეგიონებიდან პირდაპირ გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე გადაიციეს, სადაც მათი მოგვარება იქნება შესაძლებელი.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>3. 2018 წლის 22 ივნისს „მრავალეროვანი საქართველო ეროვნული დედალი დემოკრატიისთვის (NED)“ ორგანიზებით სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონების ეთნიკურ უმცირესობას მიეწოდა ინფორმაცია ასოციაციების შესახებ შეთანხმების და DCFTA ხეკშეკრულების მიმდინარეობის შესახებ.</p> <p>4. 2018 წლის 13 თებერვალს სეს-ის სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხორცის, ხორცპროდუქტებისა და თევზის იმპორტიორებს გააცნეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N426-ში შეტანილი ცვლილებები.</p> <p>5. 2018 წლის 8 ივნისს სეს-ის სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქათმის ხორცის მწარმოებლებსა და მეფრინველეების ასოციაციას გააცნეს „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებები.</p>
<p>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ქართული ბიზნესის ადაპტაციის შესაძლებლობის გაუმჯობესება</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმეების დახმარება</p>	<p>დახმარების გაწევის მიზნით განხორციელებულ ი აქტივობები</p>	<p>განხორციელებულ ი აქტივობების ან ბენეფიციარების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო</p>	<p>სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩეხეთის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობისა და კვლევის ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, ჩაატარეს პრეზენტაცია შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, შემდეგ თემებზე: მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისათვის.	კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით					მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნეს ოპერატორთა რეგისტრაცია; პესტიციდების და სასუქების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.
<p><b>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</b></p> <p>საქართველოსთვის შემდგომი ტექნიკური რჩევებისა და მხარდაჭერის გაწევა კანონმდებლობის შემუშავებასა და გატარებაში, მათ შორის, შესაბამისი კადრების მომზადებაში, კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების განვითარებისა და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაში, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად;</p>	<p>შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში, კომპეტენტური ორგანოსთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის და ლაბორატორიული უნარების გაძლიერების კუთხით</p>	<p>დატრენინგებული სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ღონისძიებებში ჩართული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლები</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო</p> <p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p> <p>სსიპ-საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია</p>	<p><b>1. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) ორგანიზებით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის ექსპერტის ტატიანა მარჩენკოვას მიერ, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ინსპექტორებისათვის, ჩატარდა 3 ტრენინგი შემდეგ თემებზე: <ul style="list-style-type: none"> <li>o „არაცხოველური წარმოშობის სურსათის პროდუქტები“ - ტრენინგი ჩატარდა 2018 წლის 8-13 იანვარს ქ. თბილისსა და ქ. ქობულეთში. მონაწილეობას იღებდა 28 ინსპექტორი;</li> <li>o „მომხმარებელთათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე“ - ევროკავშირის რეგულაციის N1169/2011 დადგენილების მიხედვით. ტრენინგი ჩატარდა 2018 წლის 13 და 15 მარტს ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში. მონაწილეობას იღებდა 41 ინსპექტორი;</li> <li>o „საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების შესახებ“ - ევროკავშირის რეგულაცია N2073/2005 მიხედვით. ტრენინგი ჩატარდა 2018 წლის 21 და 22 მარტს ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში. მონაწილეობას იღებდა 41 ინსპექტორი.</li> </ul> </li> <li>- 2018 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ჩატარდა პირველი მრგვალი მაგიდა რისკის ანალიზის სისტემის განვითარების თაობაზე. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ცენტრისა და სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის წარმომადგენლები და ასევე, საბაჟო დეპარტამენტი; ხოლო, 2018 წლის მარტის ბოლოს, ჩატარდა რისკის ანალიზის სისტემის განვითარების თაობაზე მეორე მრგვალი მაგიდა, რომლის ფარგლებშიც CIB-ის სურსათის უვნებლობის ექსპერტმა ჩაატარა პრეზენტაცია საქართველოში არსებული რისკის ანალიზის მდგომარეობის შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილდა არსებულ ხარვეზებზე. CIB-ის მრჩეველმა აუდიტორიას წარუდგინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოყენებული მიდგომები საფრთხისადმი მოწყვლადობის შეფასების თაობაზე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 13 თებერვალს, CIB-ის ექსპერტებმა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 10 სპეციალისტს ჩაუტარეს ტრენინგი 2002/99/EC დირექტივის თაობაზე, გაუზიარეს აღნიშნული დირექტივის დანერგვის ევროკავშირის გამოცდილება და გასცეს მითითებები იმპორტის მოთხოვნებსა და ევროკავშირის წესებზე სურსათის ჰიგიენის შესახებ და ასევე, სურსათის ოფიციალურ კონტროლზე;</li> <li>- 2018 წლის 1 მაისს მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა კანონმდებლობის მოქნილობის სამუშაო შეხვედრა (Flexibility workshop) სადაც განხილული იყო ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობის მოქნილობა, ამ სფეროში ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და HACCP -ის სისტემები;</li> <li>- 2018 წლის 20 თებერვალს, CIB-ის მრჩეველმა ვეტერინარიის ექსპერტთან ერთად, უხელმძღვანელა ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო პროგრამის (NAHP) ფარგლებში გამართულ შეხვედრას ვეტერინარული სისტემის შეფასების</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ინსტრუმენტზე - „საქართველოში ვეტერინარული მომსახურების ეფექტურობა“ (PVS);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 26-27 თებერვალს და 1-2 მარტს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა ჩაატარა სიმულაციური სავარჯიშოები, რომლებიც ეხებოდა აფრიკული ღორის ცხელებას კახეთისა (ყვარელი) და რაჭა-ლეჩხუმის (ამბროლაური) რეგიონებში. ღონისძიებები იყო ორდღიანი და შედგებოდა თეორიული ნაწილისა და სავარჯიშოებისგან. ჯამში 30-მა ვეტერინარმა მიიღო მონაწილეობა;</li> <li>- 2018 წლის 28 აპრილს CIB პროგრამამ მხარი დაუჭირა სურსათის ეროვნულ სააგენტოს მსოფლიო ვეტერინარიის დღის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნა მოხსენება ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ, ასევე მოხდა სააგენტოს თანამშრომლებისა და ვეტერინარიის დარგში მომუშავე მეცნიერების მიერ ერთობლივად შემუშავებული ვეტერინარული ლექსიკონისა და საინფორმაციო ბროშურების პრეზენტაცია და მონაწილეთათვის საზეიმო გადაცემა. შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს ვეტერინარიისა და მეცხოველეობაში მომუშავე სხვადასხვა ასოციაციებმა, მეცნიერებმა, სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა;</li> <li>- 2018 წლის ივნისში CIB პროგრამის მე-3 ფაზის ფარგლებში მოხდა საკანონმდებლო დაახლოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება ევროკავშირის No576/2013 რეგულაციის „შინაური ცხოველების არაკომერციული გადაადგილების შესახებ“ და ევროკავშირის No1152/2011 რეგულაციის „ჯანმრთელობის პრევენციული ზომები Echinococcus multilocularis ინფექციის</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>გასაკონტროლებლად მაღლებში“ თაობაზე. დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და შემოსავლების სამსახურის 13-მა სპეციალისტმა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 26-28 აპრილს ქ. ბორჯომში აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „ცხოველთა გამოყენებისა და მოვლის ინსტიტუციური კომიტეტების სისტემის განვითარება საქართველოში: ფაქტები და გამოწვევები“. შეხვედრაზე განიხილეს ცხოველთა კეთილდღეობის საკითხები ლაბორატორიული ცხოველების ჭრილში. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ვეტერინარიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა;</li> <li>- 2018 წლის 16-20 აპრილს საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს ინიციატივით და სურსათის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით გაიმართა რეგიონული სამუშაო შეხვედრა ვექტორები/ვექტორების მიერ გამოწვეული დაავადებების დიაგნოსტიკის და დიფერენცირების გაძლიერების სტრატეგიის შემუშავების მიზნით. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ წარმომადგენლები სურსათის ეროვნული სააგენტოდან და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიიდან, ასევე ექსპერტები და მონაწილეები ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპიდან და დასავლეთ აზიის ქვეყნებიდან (სულ 32 მონაწილე). შეხვედრაზე განხილულ იქნა ვექტორების გავრცელება, მათი სახეობრივი იდენტიფიკაციის მეთოდები, მათ მიერ გამოწვეული დაავადებები, მათი გავრცელება, საჭირო კონტროლის ღონისძიებები და დიაგნოსტიკის მეთოდები.</li> </ul>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 28 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით ქ. თბილისში BTSF მიერ ჩატარებული იქნა რეგიონული სამუშაო შეხვედრა ფრინველის გრიპთან დაკავშირებით, შეხვედრას ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, სამუშაო შეხვედრას უძღვებოდნენ BTSF მიერ მოწვეული ექსპერტები. შეხვედრაზე განხილულ იქნა ფრინველის გრიპის გლობალური სიტუაცია, ბიოუსაფრთხოების პრინციპები, ფერმების ბიოუსაფრთხოება, ფრინველის გრიპის ზედამხედველობის პრინციპები შინაურ და გარეულ ფრინველებში, ეფექტური კონტროლის ღონისძიებები, ვაქცინაცია და სტრატეგიული გეგმის შემუშავება. ჩატარდა ჯგუფური სამუშაოები ბიოუსაფრთხოებაზე, შინაურ და გარეულ ცხოველებზე ზედამხედველობაზე, კონტროლის მექანიზმებზე და ცნობიერების ამაღლების შესახებ.</li> <li>- 2018 წლის მაისის თვეში, CIB პროგრამის მე-3 ფაზის ფარგლებში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კალიის პროექტთან ერთად, ჩატარდა ტრენინგი სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტებისთვის შემდეგ თემებზე: კალიების მონიტორინგი, კალიის განვითარების ეტაპები, საკონტროლო ღონისძიებები, GIS - ის გამოყენება კალიების მოძრაობის გასაკონტროლებლად და რუკების შედგენა;</li> <li>- 2018 წლის მაისის ბოლოს, CIB პროგრამის მე-3 ფაზის ფარგლებში, მოხდა მცენარეთა დაცვის საკანონმდებლო დახლოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება საკანონმდებლო პროექტის „ბოსტნეულის გასამრავლებელი (გარდა თესლისა) და სარგავი მასალით ვაჭრობის პროცედურების“</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>განსახილველად. აღნიშნულ შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამისა და კერძო სექტორების წარმომადგენლებმა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის მაისში, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) მე-3 ფაზის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტებმა ჩატარეს კალიის საწინააღმდეგო სიმულაციური სავარჯიშო რეგიონების ახალი თანამშრომლებისთვის, რომელიც ეხებოდა GIS-ისა და პიკაპის ტრაქტორის შესახებ უწყვეტი აპარატის გამოყენებას. სავარჯიშოში მონაწილეობა მიიღო 18-მა სპეციალისტმა, მათ შორის 16-მა კაცმა და 2-მა ქალმა.</li> <li>- 2018 წლის 6-7 აგვისტოს, ქ. თბილისში, ლატვიელი ექსპერტის მიერ, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის, თბილისის საქალაქო სამსახურისა და რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებისათვის ჩატარდა ტრენინგი შემდეგ თემებზე: სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა, ბიზნესოპერატორების აღიარება და ხარისხის მართვის სისტემა და შიდა აუდიტი. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა 32 ინსპექტორი, მათ შორის 12 ქალი და 20 კაცი.</li> <li>- 2018 წლის 6-7 აგვისტოს, ქ. თბილისში, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტისა და თბილისის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებისათვის, ხოლო 9-10 აგვისტოს</li> </ul>

ასოციაციის შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ქ. ქუთაისში, სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებისთვის ლატვიელი ექსპერტების მიერ, ჩატარდა ტრენინგი თემაზე ცხოველური წარმოშობის სურსათის HACCP. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა 38 ინსპექტორი, მათ შორის 27 ქალი და 11 კაცი.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 17-19 სექტემბერს, ანაკლიაში, იტალიელი ექსპერტის მიერ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის, თბილისის საქალაქო სამსახურისა და რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე - თბილის სექტორში ევროკავშირის მოთხოვნები, HACCP სისტემა და აუდიტი. მონაწილეობას იღებდა 20 ინსპექტორი, მათ შორის 12 ქალი და 8 კაცი.</li> <li>- 2018 წლის 24-27 სექტემბერს, ქ. თბილისში, იტალიელი ექსპერტის მიერ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის, თბილისის საქალაქო სამსახურისა და რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - მინერალური წყლის სექტორში ევროკავშირის მოთხოვნები, HACCP სისტემა და აუდიტი. მონაწილეობას იღებდა 21 ინსპექტორი, მათ შორის 10 ქალი და 11 კაცი.</li> <li>- 2018 წლის 25-26 სექტემბერს CIB-მ მხარი დაუჭირა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების მართვისა და კონტროლის პროექტს, პროექტის საქმიანობის განხორციელებისა და რეგიონული ვეტერინარებისთვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში - ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების რეგულაციაზე, მართვაზე</li> </ul>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>და კონტროლზე ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 7-9 აგვისტოს, სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოს დახმარება გაეწია სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში, საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების, ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ განხილვასთან დაკავშირებით. CIB პროგრამამ წარადგინა ევროკავშირის N2001/82, N2004/28 დირექტივების და N470/2009 რეგულაციის ძირითადი მოთხოვნები და მისი პრაქტიკაში განხორციელების გზები ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებით. ჯამში დაესწრო 13 სპეციალისტი, მათ შორის 10 ქალი და 3 კაცი.</li> <li>- 22 - 6 ნოემბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტმა დასავლეთ საქართველოში სურსათის ინსპექტორებისთვის ჩატარა ღვინის, მინერალური წყლისა და სასმელი წყლის საწარმოების ტრენინგების მე-2 ტური. ტრენინგები რომლებიც ჩატარდა იტალიელი ექსპერტის მიერ ქუთაისსა და ქობულეთში მოიცავდა შემდეგ თემებს: <ol style="list-style-type: none"> <li>1. წყალმომარაგების სისტემა და შემადგენელი ელემენტები, წყლით დამუშავება, წყლის უსაფრთხოების გეგმა და სასმელ წყალზე ევროკავშირის კანონმდებლობა;</li> <li>2. სავალდებულო პროგრამები, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის გამოყენება მინერალური წყლის საწარმოებში და მინერალურ წყალზე ევროკავშირის კანონმდებლობა;</li> <li>3. სავალდებულო პროგრამები, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული</li> </ol> </li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის გამოყენება ღვინის საწარმოებში, ღვინოსთან დაკავშირებით ევროკავშირის კანონმდებლობა და ინსპექტორების როლი დღეს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 15-16 ნოემბერს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 2 დღიანი სემინარი ვეტერინარული ფარმაცევტული პრეპარატების რეგისტრაციის შესახებ. CIB III-ის ექსპერტებმა ვეტერინარიის დეპარტამენტის წარმომადგენლებს განუმარტეს საკანონმდებლო მოთხოვნები ევროკავშირის ექვივალენტურ კანონმდებლობაში, მათ შორის ფარმაცევტული პრეპარატების რეგისტრაციაზე, პროდუქციის დამტკიცებასა და კონტროლის პროცედურებზე. ექსპერტებმა ასევე მიმოიხილეს არსებული კანონმდებლობის ხარვეზები, გასცეს რეკომენდაციები ამ ხარვეზების გამოსასწორებლად და შესწორების ვადებთან დაკავშირებით.</li> <li>- 3-7 დეკემბერს განხორციელდა შვედი ვეტერინარი ექსპერტის მისია, რომლის მთავარი მიზანი იყო მხარი დაეჭირათ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული დეპარტამენტისათვის საგანგებო გეგმის შემუშავებაში. მეორე მისია დაგეგმილია 2019 წლის იანვრის ბოლოს. პირველი მისია უმეტესწილად მიეძღვნა ვეტერინარული დეპარტამენტის საჭიროებების გააზრებას, საგანგებო გეგმის სტრუქტურის შერჩევას, არსებული რეგულაციებისა და საქართველოში საგანგებო გეგმის სტრუქტურის ზოგად გააზრებას.</li> <li>- 12-14 დეკემბერს კახეთში CIB III-ის ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგი ვეტერინარებისათვის საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების</li> </ul>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>(HACCP) აუდიტზე ცხოველური წარმოშობის სურსათისა და ცხოველთა საკვების დაწესებულებებში. აღნიშნულ ტრენინგში 18-მა ვეტერინარმა მიიღო მონაწილეობა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 16-22 დეკემბერს განხორციელდა ესტონეთის ვეტერინარიის მედიცინისა და ცხოველთა მეცნიერებების ინსტიტუტის საერთაშორისო ექსპერტის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის დახმარების გაწევა შემდეგ საქმიანობებზე: <ol style="list-style-type: none"> <li>1. ვეტერინარებისა და ვეტერინარული ტექნიკოსების პროფესიული კომპეტენცია;</li> <li>2. ვეტერინარებისა და ვეტერინარული ტექნიკოსებისათვის სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების წესები და მოთხოვნები;</li> <li>3. მოთხოვნები პროფესიული განვითარების გაგრძელებისათვის.</li> </ol> </li> <li>- 22-დან 26 ოქტომბრის ჩათვლით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტმა ჩაატარა სიმულაციური სავარჯიშო ფრინველის გრიპისა და ნიუკასლის დაავადებებზე. სიმულაციური სავარჯიშო ჩატარდა კახეთისა და იმერეთის რეგიონებში, რომელსაც უძღვებოდა იტალიელი ექსპერტი. ჯამში 30-მა ვეტერინარმა მიიღო მონაწილეობა.</li> </ul> <p>9-11 ოქტომბრის ჩათვლით სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: 1. 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაცია No 1107/2009 მცენარეთა დამცავი პროდუქტების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით და აუქმებს ევროსაბჭოს 79/117/EEC და 91/414/EEC დირექტივებს. 2. (EU) No 283/2013 რეგულაცია ადგენს აქტიური</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ნივთიერებების მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1107/2009 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ეხება მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებას. ტრენინგი ჩაატარა ჩეხმა ექსპერტმა, რომელიც არის ჩეხეთის ცენტრალური ინსტიტუტის სპეციალისტი სოფლის მეურნეობის სფეროში ზედამხედველობასა და ტესტირებაში. საერთო ჯამში ტრენინგში მონაწილეობას იღებდა 15 სპეციალისტი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან.</p> <p><b>2. მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულებით:</b></p> <p>1. 2018 წლის 26-29 ივნისს, ჩეხეთის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობის და ტესტირების ცენტრალური ინსტიტუტის ორგანიზებით სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>Monochamus</i>-ის გვარის სახეობების მონიტორინგი და მორფოლოგიური რკვევა;</li> <li>• ფიჭვის მერქნის ნემატოდის <i>Bursaphelenchus xylophilus</i>-ის გამოყოფა <i>Monochamus</i>-ის გვარის სახეობებიდან და მათი მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია;</li> <li>• ფიჭვის მერქნის ნემატოდის <i>Bursaphelenchus xylophilus</i>-ის და <i>Bursaphelenchus</i> -ის სხვა სახეობების იდენტიფიკაცია მოლეკულური მეთოდით.</li> </ul> <p><b>3. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის მიერ:</b></p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>- 2018 წლის 17-20 აპრილს იმერეთის რეგიონული სამმართველოს 12 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ბიოწარმოება; სურსათის ფორტიფიკაცია; ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგი; ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი; რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება; სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.</p> <p>- 2018 წლის 30 მაისი - 4 ივნისს იმერეთის რეგიონული სამმართველოს 7 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები; თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები; დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი; ბიოწარმოება; სურსათის ფორტიფიკაცია; სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინატის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>სურსათში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგი; ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი; რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება; სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 17 – 18 მაისს გურიის რეგიონული სამმართველოს 5 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი; ბიოწარმოება; სურსათის ფორტიფიკაცია; ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგი; ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი; რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება;</li> <li>- 2018 წლის 22 – 23 მაისს აჭარის რეგიონული სამმართველოს 10 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი; ბიოწარმოება; სურსათის ფორტიფიკაცია; რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები; სურსათი/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 29 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს 6 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათი/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნები; დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი; ბიოწარმოება; სურსათის ფორტიფიკაცია; ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება.</li> <li>- 2018 წლის 7 ივნისის კახეთის რეგიონული სამმართველოს 7 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი; თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.</li> <li>- 2018 წლის 20-21 ივნისის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს 7 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ბიოწარმოება; სურსათის ფორტიფიკაცია; თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება; თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი; დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი; სურსათი/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნები; ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 8 ივლისს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს 6 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტზე და დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტზე;</li> <li>- 2018 წლის 25-27 ივლისს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს 6 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები, დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის, ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება, საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი და სტანდარტული</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საოპერაციო პროცედურები და ინსტრუქციები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 2018 წლის 3-5 დეკემბერს იმერეთის რეგიონული სამმართველოს 4 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: თავლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირება, საქონლის ხორცისა და საწონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი, ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი, ბიოწარმოება, სურსათის ფორტიფიკაცია, სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური ნორმები, რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტი, ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგი.</li> <li>- 2018 წლის 8 დეკემბერს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს 4 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ბიოწარმოება, სურსათის ფორტიფიკაცია;</li> <li>- 2018 წლის 17 დეკემბერს გურიის, ხოლო 26 დეკემბერს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოების 13 უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირება, ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;</li> <li>- 2018 წლის 5-14 ნოემბრის ჩათვლით თბილისის საქალაქო სამსახურის 16</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>უფლებამოსილ პირს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, ბიოწარმოება, სურსათის ფორტიფიკაცია, საქონლის ხორცის ეტიკეტირება, ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესი, ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგი, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირება, თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, დაფასობული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი, რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტი.</p> <p><b>სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მონაწილეობა მიიღეს გურიის რეგიონში თხილნარებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში შექმნილი ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლაში;</li> <li>2. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საკარანტინო მანებლების - კარტოფილის ცისტოანი ნემატოდების გამოსავლენად ჩაატარეს მარშრუტული კვლევები სვანეთსა და სამხრეთ საქართველოში (ავვისტო-სექტემბერი, 2018);</li> <li>3. მონაწილეობა მიიღეს საქართველო-კანადის ფაგების ანოტაციის ვორქშოპში მუშაობაში (16-20 ივლისი);</li> <li>4. მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო ჩართვებში, რომლებიც ეხებოდა სხვადასხვა თემებს: „ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მნიშვნელობა“ (09.06.2018); „გურიის რეგიონში</li> </ol>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>თხილწარებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში შექმნილი ფიტოსანიტარიული მდგომარეობა და გავრცელებული სოკოვანი დაავადებები“ (26.08.2018; 05.09.2018);</p> <p>5. 7.07. -22.07 2018 ესპანური საერთაშორისო ორგანიზაციის “მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“(Action Against Hunger) ევროკავშირის ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის(COBERM III) მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, სურსათის კვლევის დეპარტამენტის თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგში, რომელიც ჩატარდა რესპუბლიკა მაკედონიაში, სკოპიეს უნივერსიტეტში. (პროექტი ხორციელდება აფხაზეთის რეგიონში და მიზნად ისახავს ნდობის აღდგენას და დიალიგის ხელშეწყობას.)ტრენინგის ფარგლებში გავლილი იყო PCR-სა, ელექტროფორეზის და სხვა სადიაგნოსტიკო მეთოდების საფუძვლები, ELISA-ს მეთოდი, კვლევის ქრომატოგრაფიული მეთოდები და ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობები .</p> <p>6. 14..09.2018 გარემო დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე “სურსათში ტყვიის რისკის შეფასება“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ერთმა თანამშრომელმა.</p> <p>7. 22:09-30.09 2018 ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) მოწვევით ქ.ბოგორში ჩატარდა ტრენინგი: სურსათის კვლევის ლაბორატორიის კომპეტენტურობის ზოგადი მოთხოვნები“.სწავლებაში მონაწილეობა მიიღო ინსტრუმენტული კვლევის ლაბორატორიის სპეციალისტმა.</p> <p>8. 10/08-20/09 ბიოუსაფრთხოება/ბიოდაცვის ყოველწლიური განახლებადი სწავლება-სწავლებაში მონაწილეობენ როგორც რეგიონალური, ისე ზონალური</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ლაბორატორიების მთავარი სპეციალისტები. ღონისძიების დამფინანსებელია DTRA.</p> <p>9. სპეციალისტთა პროფესიული განვითარების და დაავადებების კვლევის მეთოდების განახლებადი სწავლებები-სწავლებაში ჩართულია სმს ლაბორატორიული ქსელის მთავარი სპეციალისტები. სწავლების ინიციატორი და წამყვანი სმს ლაბორატორიის თბილისის ოფისის სპეციალისტები არიან. სწავლების მიზანია პირველ რიგში, სპეციალისტებმა მიიღონ ინფორმაცია ქსელში მიმდინარე დიგნოსტიკური პროცესების შესახებ და წარმოადგინონ დაავადებების კვლევის თანამედროვე მეთოდებზე და ასევე უფრო სწრაფი და საიმედო დიაგნოსტიკის მიზნით კი ყოველწლიურად მიიღონ განახლებადი ინფორმაცია კონკრეტული დაავადების დიაგნოსტიკის შესახებ. ღონისძიების დამფინანსებელია DTRA.</p> <p>10. 10-12 ივლისი, ფრინველის გრიპის და ნიუკასლის დაავადების ეროვნული რეფერენს ლაბორატორიების სამუშაო შეხვედრა-ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდა სმს ლაბორატორიის ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკიდ დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გააკეთა საქართველოში ფრინველის გრიპის და ნიუკასლის დაავადების როგორც ეპიდემიოლოგიური, ისე ლაბორატორიული ზედამხედველობის შესახებ. შეხვედრის მიზანი იყო ევროკავშირის ქვეყნებში და სხვა მეზობელ ქვეყნებში ფრინველის გრიპის ვირუსის ვარიაციების გავრცელების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რისკების შეფასება და ანალიზი და ასევე დაავადებასთან ბრძოლის ერთიანი, რეგიონალური მიდგომები. შეხვედრა დაფინანსებული იყო ევროკავშირის პროგრამა ტაიექსის მიერ.</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება	დამატებულია დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები ან/და გაფართოებულია აკრედიტაციის სფერო	დანერგილი ახალი მეთოდების რაოდენობა ან/და გაცემულია შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	<p>სურსათის უვნებლობის მიმართულებით დაინერგა:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სულფიტმარეღვცირებელი კლოსტრიდიების განსაზღვრის მეთოდი (აკრედიტირებულია)</li> <li>2. სურსათში მძიმე მეტალების (Sn, Cr) ნარჩენების განსაზღვრის მეთოდი ატომურ-ემისიური და ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრების გამოყენებით;</li> <li>3. მძიმე მეტალების(ტყვიის და კადმიუმის) განსაზღვრის მეთოდი ატომურ-აბსორბციულ სპექტრომეტრზე</li> <li>4. ფოსფორორგანული პესტიციდების (აზინფოს-მეთილი, ქლორფენვიფოსი, დიაზინონი, დიქლორფოსი, დიმეთოატი, ეთიონი, ფენამიფოსი, ფენამიფოსის სულფოქსიდი, ფენამიფოსის სულფონი, ფენტონი, მალაოქსონი, მალათიონი, მეთამიდოფოსი, ომეთოატი, ფოსმეტი, პირიმეფოს-მეთილი, ტრიაზოფოსი, კარბოფურანი, ფორმეთანატი, პროპამოკარბი, ალდიკარბის სულფოქსიდი, ალდიკარბის სულფონი, ალდიკარბი, ოქსამილ, მეტომილი, თიოდიკარბი, კარბოსულფანი, პირიმეკარბი, კარბარილი, იპროვალიკარბი, ფენოქსიკარბი - გაზური ქრომატოგრაფია; პარაოქსონ მეთილი, პარათიონი, იზოკარბოფოსი, EPN - სითხური ქრომატოგრაფია) განსაზღვრა სურსათში.</li> <li>5. ქლორორგანული პესტიციდების (ალდრინი, ქლორპირიფოსი, ჰეფტაქლორ ეპოქსიდი, ენდოსულფანი, დიელდრინი, ენდოსულფანის სულფატი, მეტოქსიქლორი, ლამბდა-ციპლოტრინი, პერმეტრინი, ციპერმეტრინი, ტაუ-ფლუვალინატი) განსაზღვრა სურსათში</li> <li>6. ნიტროიმიდაზოლების (2-OH-მეთილ-მეთილ ნიტროიმიდაზოლი (HMMNI), მეთილ-2-OH-იზოპროპილ-ნიტროიმიდაზოლი (IPZ-OH), მეტრონიდაზოლი (MNZ), 2-OH-ეთილ-2-</li> </ol>



ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>OH-მეთილ-ნიტრომიდაზოლი (MNZ-OH), რონიდაზოლი (RNZ)) განსაზღვრა თავლში.</p> <p>7. შაქრების (ფრუქტოზა, გლუკოზა, საქაროზა) განსაზღვრა თავლში</p> <p>8. ჰიდროქსილმეთილფურფუროლის განსაზღვრა თავლში</p> <p>9. ენტერობაქტერიების განსაზღვრის მეთოდი ცხოველთა საკვებში(ISO 21 528 -2-2004).</p> <p>10. თავლის ყვავილის მტვრის განსაზღვრის მეთოდი.</p> <p>11. სალმონელების აღმოჩენის , დათვლის და სეროტიპირების ჰორიზონტალური მეთოდი , ნაწილი - 1 – salmonella spp.აღმოჩენა სსტ. ისო - 6579-1-2017;</p> <p>12. -Listeria monocytogenes აღმოჩენისა და დათვლის ჰორიზონტალური მეთოდი. ნაწილი - 1 –აღმოჩენის მეთოდი ისო 11290 – 1- 2017;</p> <p>13. მიკროორგანიზმების დათვლის ჰორიზონტალური მეთოდი.ნაწილი -1 - კოლონიების დათვლა 30 C ზედაპირული თესვის ტექნიკით სსტ ისო 4833 – 1 : 2013/2015,</p> <p>14. მიკროორგანიზმების დათვლის ჰორიზონტალური მეთოდი. ნაწილი - 2- კოლონიების დათვლა 30 C სიღრმივი თესვის ტექნიკით სსტ ისო 4833 – 2: 2013/2015;</p> <p>15. პოლიციკლური ბიფენილების (PCB) განსაზღვრა თავლში და თევზში გაზური ქრომატოგრაფიის (GS/MS/MS) მეთოდის გამოყენებით.</p> <p>16. ნიტროფურანების განსაზღვრა თავლში სითხურ ქრომატოგრაფთან შეუღლებელი სამმაგ კვადრუპოლიანი მასსპექტრომეტრის (LC/MS/MS) საშუალებით;</p> <p>17. სურსათში ტენიანობის განსაზღვრა ახალი ხელსაწყო "Radwag MA 50 "საშუალებით.</p> <p>ვეტერინარიის მიმართულებით დაინერგა:</p> <p>1. ლეიშმანიოზის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენი არაპირდაპირი</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ფერმენტულ-იმუნოსორბენტული ანალიზი (ELISA);</p> <ol style="list-style-type: none"> <li>2. ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური კვლევები: ტუბერკულოზი; მასტიტი; ლეიშმანიოზი; ლეპტოსპიროზი; Q-ცხელება; ავთვისებიანი შეშუპება; ნეკრობაქტერიოზი; ანაერობული დიზინტერია; ჩლიქების სიდამპლე; ენტეროტოქსემია; სტაფილოკოკოზი; ჰაერის ბაქტერიოლოგიურ დაბინძურებაზე გამოკვლევა; ტექნოლოგიური მოწყობილობების ბაქტერიოლოგიურ დაბინძურებაზე გამოკვლევა; დეზინფექციის ხარისხის განსაზღვრა; თევზის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა- აერომონოზი (წითურა- ჰემორაგიული სეპტიცემია).</li> <li>3. თევზის, ფუტკრის, სასოფლო სამეურნეო ცხოველების, სისხლის პარაზიტოლოგიური კვლევები;</li> <li>4. ჰელმინთები; პროტოზოები; არაქნოიდები.</li> <li>5. ჰისტოლოგიური კვლევები: პარატუბერკულოზი; ტუბერკულოზი; ლეიკოზი; ცხენების ენცეფალომიელიტი; ყვავილი; ტემენის დაავადება; ფრინველის ინფექციური ბრონქიტი; მარეკის დაავადება; ვირუსული გასტროენტერიტი; სიმსივნეები; ლეპტოსპიროზი აქტინომიკოზი.</li> <li>6. ძუძუმწოვარ ცხოველებში ლეპტოსპირას საწინააღმდეგო ანტისხეულების ხარისხობრივი განსაზღვრა (ELISA);</li> <li>7. ძაღლის შრატში ძაღლის ჭირის საწინააღმდეგო ანტისხეულების ხარისხობრივი განსაზღვრა (ELISA);</li> </ol> <p><u>მცენარეთა დაცვის მიმართულებით დაინერგა:</u></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საკარანტინო მავნე ორგანიზმის <i>Tilletia (Neovissia) indica</i>-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია.</li> <li>2. კივის ბაქტერიული კიბოს გამომწვევის <i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>actinidiae</i></li> </ol>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>3. ემექსი ავსტრალიურის (<i>Emex australis</i> Stein.) მორფოლოგიურ - ბიოლოგიური რკვევა.</li> <li>4. კოლუმბიის გალებიანი ფესვის ნემატოდის <i>Meloidogyne chitwoodi</i> და <i>Meloidogyne fallax</i>-ის მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</li> <li>5. აღმოსავლური ხილის ბუზის <i>Bactrocera dorsalis</i>- მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია.</li> <li>6. თხილის ბაქტერიული ჭკნობის გამომწვევი პათოგენის <i>Xanthomonas arboricola</i> pv. <i>corylina</i> გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია;</li> <li>7. <i>Xyllela fastidiosa</i> დეტექცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით</li> <li>8. თხილის ბაქტერიული ჭკნობის გამომწვევი პათოგენის <i>Xanthomonas arboricola</i> pv. <i>corylina</i> გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია</li> <li>9. სოიოს ცისტანი ნემატოდის <i>Heterodera glycines</i> მორფოლოგიურ - მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია.</li> <li>10. თხილის ბაქტერიული კიბოს გამომწვევი <i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>Avellanae</i> გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია;</li> <li>11. ზლის ფოთლის დახვევის ვირუსის (CLRV-ch) გამოვლენა DAS-ELISA მეთოდით;</li> <li>12. სიდა ეკლიანის (<i>Sida spinosa</i> L.) მორფოლოგიურ - ბიოლოგიური რკვევა.</li> <li>13. <i>Xiphinema americanum sensu lato</i> - მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</li> <li>14. ბუზის ალურას <i>Cydalima perspectalis</i> - მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</li> </ol>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>15. აზიური ხარაბუხას <i>Anoplophora glabripennis</i> - მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია;</p> <p>16. ბამბის ფრთათეთრას <i>Bemisia tabaci</i> მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია. (გადაცემულია დასამტკიცებლად);</p> <p>17. ციტრუსოვანთა ჭიჭინოხელას <i>Metcalfa pruinose</i> მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია.</p> <p>18. მცენარეული მასალიდან და ნიადაგიდან <i>Verticillium spp.</i>-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია;</p> <p>19. ლურჯი მოცვის ხმობის გამომწვევი პათოგენური სოკოს <i>Phomopsis vaccinii</i>-ის გამოყოფა და მისი სახეობრივი იდენტიფიკაცია;</p> <p>20. კაკლის ბაქტერიული ჭკნობის გამომწვევი პათოგენის <i>Xanthomonas arboricola</i> pv. <i>juglandis</i> გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური იდენტიფიკაცია (გადაცემულია დასამტკიცებლად);</p> <p>21. ძაღლყურძენა სამყვავილიანის (<i>Solanum triflorum</i> Nutt.) მორფოლოგიურ - ბიოლოგიური რკვევა;</p> <p>22. ძაღლყურძენა ხაზურფოთლიანის (<i>Solanum elaeagnifolium</i> Cav.) მორფოლოგიურ - ბიოლოგიური რკვევა (გადაცემულია დასამტკიცებლად);</p> <p>23. ფიტოპლაზმას დეტექცია და იდენტიფიკაცია "Nest" და რეალურ დროში პჯრ-მეთოდებით;</p> <p>24. ხმელთაშუა ზღვის ნაყოფის ბუზის <i>Ceratitidis capitata</i>- ს დნმ-ის გამოყოფა;</p> <p>25. <i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>actinidiae</i>-ს დეტექცია და იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით;</p> <p>26. ფიჭვის ნემატოდას <i>Bursaphelenchus xylophilus</i> იდენტიფიკაცია პჯრ მეთოდით;</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>27. თხილის ბაქტერიული ნეკროზის გამომწვევი ბაქტერია Xanthomonas arboricola pv. Corylina იდენტიფიკაცია პჯრ მეთოდით;</p> <p>28. ბუზი Ceratitis capitata - ს იდენტიფიკაცია კონვენციური და „RELIF“ პჯრ მეთოდებით;</p> <p>29. ღეროს ნემატოდას Ditylenchus dipsaci იდენტიფიკაცია პჯრ მეთოდით;</p> <p>30. ხორცის სახეობის იდენტიფიკაცია იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით (ქათმის ხორცი, ძროხის ხორცი, ღორის ხორცი);</p>
<p>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</p> <p>საქართველოს მხარდაჭერა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში რისკის ანალიზის გაძლიერების მიზნით; სასაზღვრო შემოწმებელ პუნქტებზე ვეტერინარული ფიტოსანიტარიისა და საკვების უსაფრთხოების შემოწმებათა უზრუნველყოფა;</p>	<p>ვეტერინარული, ფიტო-სანიტარიული და სურსათის უვნებლობის კუთხით სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების თანამშრომლებისათვის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების მოწყობა</p>	<p>სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე არსებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ხარისხის გაუმჯობესება</p>	<p>გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p>		<p>„საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ განვითარების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2018 წლის 29 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, ქალაქ ბათუმში ჩატარდა ტრენერთა სწავლება თემაზე „ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სასაზღვრო კონტროლის პროცედურები“. ტრენინგი ჩატარეს პოლონელმა ექსპერტებმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 7-მა თანამშრომელმა. დაგეგმილია გადამზადებული ტრენერების მიერ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის თანამშრომლების გადამზადება.</li> <li>• პროექტის ფარგლებში გადამზადებული ტრენერების მიერ ჩატარდა ტრენინგები ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურებში: <ul style="list-style-type: none"> <li>➢ 25-28 ივნისს მონაწილეობა მიიღო 10 ვეტერინარმა.</li> <li>➢ 11-14 ივლისს 7- ვეტერინარმა.</li> </ul> </li> <li>• პროექტის ფარგლებში გადამზადებული ტრენერების მიერ ჩატარდა ტრენინგები ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის პროცედურებში:</li> </ul>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<ul style="list-style-type: none"> <li>➢ 25-28 ივნისს მონაწილეობა მიიღო 13 ფიტოსანიტარმა.</li> <li>➢ 11-14 ივლისს - 9 ფიტოსანიტარმა.</li> <li>➢ 13-14 დეკემბერს - 6 ვეტერინარს.</li> <li>• 27-28 მარტს ჩატარდა ორმხრივი ტრენინგი აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად თემაზე “სურსათის საერთაშორისო სტანდარტები, კოდექს ალიმენტარიუსი“. ტრენინგი ჩატარდა ლატვიელმა ექსპერტმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 8 წარმომადგენელმა.</li> <li>• 15-17 მაისს ჩატარდა „საქართველოს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (GMO) სასაზღვრო კონტროლის სისტემის შემფასებელი მისიის ვიზიტი“. შეფასების დოკუმენტი შემუშავდა ლიტვის შესაბამისი სამსახურების ექსპერტების მიერ.</li> <li>• 24-25 ივლისს ქ. ბათუმში აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად ჩატარდა ორმხრივი ტრენინგი ჩატარება „სახმელეთო და საზღვაო ვეტერინარული კოდექსი (OIE)“. ტრენინგი ჩატარდა ექსპერტმა ლატვიიდან. მონაწილეობა მიიღო - 9 თანამშრომელმა.</li> <li>• 11-13 აგვისტოს, კაჭრეთში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე “ელექრონული სასწავლო კურსები ფიტოსანიტარულ, ვეტერინარულ და არაცხოველორი წამოშობის პროდუქტის სასაზღვრო კონტროლში“. შემუშავდა ელ. სახელმძღვანელოების პირველადი პროექტი. მონაწილეობა მიიღო 5 მათანამშრომელმა.</li> <li>• 27-28 აგვისტოს აზერბაიჯანში, თოვუზის რეგიონში, ჩატარდა ორმხრივი ტრენინგი თემაზე „მცენარეთა, მცენარეული წამოშობის პროდუქტებისა და ხის შესაფუთი მასალების იმპორტის სასაზღვრო კონტროლში“. ტრენინგი</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ჩაატარა ლატვიელმა ექსპერტმა. შემოსავლების სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 6-მა წარმომადგენელმა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>29-31 აგვისტოს ექსპერტებმა ლიტვიდან ბათუმში ჩატარეს სამუშაო შეხვედრა „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (GMO) სასაზღვრო კონტროლის გასაუმჯობესებლად ნორმატიული აქტებისა და პროცედურების შემუშავების მიზნით“. შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტის პირველადი პროექტი. მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 6-მა თანამშრომელმა.</li> </ul>
	<p>არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლის პროცედურების მიმართულებით ყველა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის თანამშრომლის გადამზადება</p>	<p>სასაზღვრო ინსპექციის პუნქტზე მომუშავე თანამშრომლებს ექნება უნარი და ცოდნა ჩაატარონ არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლი</p>	<p>გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p>		<p>გადამზადებულმა ტრენერებმა მოამზადეს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების 101 თანამშრომელი არაცხოველური სურსათის/ცხოველის საკვების სასაზღვრო კონტროლის პროცედურების მიმართულებით. 2018 წელს ტრენინგი ჩატარდა 4 ეტაპად. ყველა ინსპექტორი ვინც ახორციელებს არა-ცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლს გადამზადებულია.</p>
	<p>სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის "წითელი ხიდის" მშენებლობის დასრულება და აღჭურვა</p>	<p>სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე არსებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს</p>	<p>სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის "წითელი ხიდის" სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის აუცილებელი შენობების დასრულება და აღჭურვა.</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p>		<p>დასრულდა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „წითელი ხიდის“ სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარიული კონტროლისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი ოფიციალურად გაიხსნა 14 სექტემბერს.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის "სადახლოს" მშენებლობის I ეტაპის დასრულება	სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე არსებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს	სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის "სადახლოს" სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის აუცილებელი შენობების მშენებლობის I ეტაპის დასრულება	სსიპ - შემოსავლების სამსახური		2018 წლის პირველ კვარტალში, სასაზღვრო გამშვებ პუნქტ „სადახლოზე“ დაიწყო სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა.  2018 წელს დასრულდა მშენებლობის პირველი ეტაპი.

**საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა**

<p><b>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</b> მხარეები ითანამშრომლებენ ქართული კანონმდებლობის ასოციაციების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართში მოცემულ ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისთვის მოსაზრებულად. დაახლოება უნდა დაეფუძნოს კავშირის საბაჟო კოდექსს, რომელიც დანერგილია 2016 წლის 1 მაისის მდგომარეობით. ასოციაციების</p>	<p>ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან დაახლოებული საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება</p>	<p>საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებულია</p>	<p>შემუშავებულია კანონმდებლობა</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის პროექტი, რომლის კერძო სექტორისთვის და სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის პრეზენტაციაც განხორციელდა 2018 წლის პირველ სექტემბერს ქ. ფოთში. აღნიშნული პროექტის შემუშავების ეტაპში ჩართული იყო ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო საკითხების დირექტორატი (DGTAXUD). ევროკომისიასთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული კოდექსი შემუშავებულ იქნა ე.წ. „Union Customs Code“-ის შესაბამისად, რომელმაც ჩაანაცვლა DCFTA-ის ფარგლებში განსაზღვრული ე.წ. „Community Customs Code“.</p> <p>მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს საბაჟო კოდექსის პროექტის პარლამენტში განხილვის მხარდამჭერი ღონისძიებები.</p>
	<p>ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან დაახლოებული საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის</p>	<p>კანონპროექტები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი; დაინტერესებული პირებისგან მიღებულია</p>	<p>საჯაროდ ხელმისაწვდომი საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტი და</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>პროექტი განსახილველად მიეწოდა ევროკომისიის საგადასახადო და საბაჟო საკითხების დირექტორატს (DGTAXUD). მათ მიერ შემუშავებული შენიშვნების და მოსაზრებების გათვალისწინებით განახლებული</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
შეთანხმების შესაბამის დანართში ისახება გაერთიანების საბაჟო კოდექსის ჩანაცვლება კავშირის საბაჟო კოდექსით.	პროექტის გამოქვეყნება და განხილვა დაინტერესებულ პირებთან	შენიშვნები და მოსაზრებები	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა			დოკუმენტი, წარედგინება დაინტერესებულ მხარეებს და შედეგა განხილვები.  საბაჟო კოდექსის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ვებ საიტზე, დაინტერესებული მხარეების მიერ მისი განხილვის მიზნით.
	კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	შემუშავებული მეორადი ნორმატიული აქტების პროექტები	სსიპ - შემოსავლების სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მიმდინარეობს მუშაობა საბაჟო სფეროს მარეგულირებელ მეორად კანონმდებლობაზე. მეორადი კანონმდებლობის იმპლემენტაციის ვადები განისაზღვრება საბაჟო კოდექსის მიღების შესაბამისად.
	2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაციის ასახვა ქართულ კანონმდებლობაში	საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება	მიღებული ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაცია ინტეგრირებულია ახალი საბაჟო კოდექსის პროექტში, მიმდინარეობს დებულებების განხილვა.
<b>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</b> საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის სისტემასთან;	ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა ინსტიტუციონალური განვითარება	შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების გაზრდილი ინფორმირებულობა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მარეგულირებელი კანონმდებლობის დებულებების	ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სსიპ - შემოსავლების სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2018 წლის 5-6 ივლის USAID G4G პროექტის მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი ინფორმაციის უსაფრთხოების თემატიკაზე. ღონისძიებას უძღვებოდნენ მონაცემთა დაცვის სააგენტოს ექსპერტები და მონაწილეობას იღებდნენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები (ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 7-მა თანამშრომელმა).  შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროექტის სამუშაო ჯგუფმა გამართა შეხვედრები ბუღალტრული

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		სათანადო აღსრულების მიზნით				<p>აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან ფინანსური მდგრადობის შეფასების თემატიკაზე. (შეხვედრებში მონაწილეობდა შემოსავლების სამსახურის 7 თანამშრომელი).</p> <p>2018 წლის 25 სექტემბერს G4G-ს ორგანიზებულ ტრანსპორტის და ლოგისტიკის კონფერენციაზე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა წარმოადგინეს ინფორმაცია მომავალი AEO პროგრამის შესახებ.</p>
<p><b>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</b></p> <p>თანამშრომლობა რისკის შემცველ საბაჟო კონტროლზე და შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს რისკების მართვისა და მომარაგების ჯაჭვის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობას და იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ სატრანზიტო საქონლის უვნებლობასა და უსაფრთხოებას;</p>	<p>საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) რეგულაციების ამოქმედება</p>	<p>შემოსავლების სამსახური რისკების პროფილების შემუშავებისას საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) მონაცემებით სარგებლობა</p>	<p>საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) ახალი რეგულაციები მიღებულია</p>	<p>სსიპ - შემოსავლების სამსახური</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 1 ივნისის ბრძანება N213 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.</p> <p>2018 წლის 19 სექტემბერს IOM ის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა საქართველოში მომუშავე ავია კომპანიებისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების შორის სადაც განხილულ იქნა სისტემის იმპლემენტაციის და გამართული მუშაობის საკითხები.</p> <p>2018 წლის 24-27 სექტემბერს IOM-ის მხარდაჭერით გაიმართა სასწავლო ვიზიტი ნედერლანდების სამეფოში, სადაც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები გაეცნენ ჰოლანდიის გამოცდილებას API/PNR სისტემის იმპლემენტაციის საკითხებში.</p> <p>2018 წლის 1-2 ნოემბერს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ეუთოს საკონტაქტო პირების თემატურ შეხვედრაში რომელიც შეეხებოდა API/PNR თემატიკას, და გაიმართა ვენაში, ავსტრია.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟოს შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი	დატრენინგებული თანამშრომლები;	გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სსიპ - შემოსავლების სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2018 წლის 5-7 ივნისს, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების საზღვარზე დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული სამუშაო შეხვედრა საბაჟო დეპარტამენტის 20 თანამშრომლისთვის.  აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი ტრენინგების განხორციელების მიზნით მიმდინარეობს კონსულტაციები დონორ ორგანიზაციებთან.
ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: საქართველოსთვის დახმარების გაწევა ტრანზიტის საერთო პროცედურების კონვენციასთან შეერთების პროცესში;	კონვენციასთან დაახლოება/მიერთებისა და საერთო სატრანზიტო პროცედურების დანერგვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება	მომზადებულია კონვენციასთან დაახლოებისათვის საჭირო დოკუმენტები	არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი საერთო სატრანზიტო პროცედურებისა და ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის კონვენციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	სსიპ - შემოსავლების სამსახური		2018 წლის მარტში დაიწყო ევროკავშირის Twinning პროექტი - „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთებისა და “ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის” “NCTS” იმპლემენტაციის მიზნით.  აღნიშნული პროექტი შედგება 3 კომპონენტისაგან:  - საკანონმდებლო ბაზის განვითარება და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა.  - საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის შესწავლა-ადაპტირება - შემოსავლების სამსახურის არსებული საინფორმაციო სისტემის განახლება ახალი კომპიუტერული სატრანზიტო სისტემის NCTS მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.  - სამსახურის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების განვითარება და ცნობადობის ამაღლება.  2018 წლის ივნისის თვიდან დაიწყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა პროექტის შემადგენელი სამივე

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>კომპონენტის მიმართულებით, კერძოდ მოწვეულმა ექსპერტებმა დაიწყეს საკანონმდებლო ბაზის, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის და ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით არსებული სიტუაციის შესწავლა. იმართება შეხვედრები შემოსავლების სამსახურის საბაჟო, იურიდიული, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და ხელმძღვანელობასთან. ექსპერტების მხრიდან გაკეთდა პრეზენტაციები "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)" შესახებ კონვენციის, ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) და შესაბამისი IT ინფრასტრუქტურის შესახებ. ექსპერტები ეცნობიან არსებულ მდგომარეობას და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ სამსახურში სისტემის დანერგვისა და განხორციელებისათვის საჭირო ცვლილებებს.</p> <p>2018 წლის 20 სექტემბერს, გაიმართა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების Twinning პროექტის მმართველი კომიტეტის რიგით მე-2 სხდომა. კომიტეტის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს შემოსავლების სამსახურის, როგორც ბენეფიციარი ქვეყნის და პროექტის პარტნიორი - ფინეთის, პოლონეთისა და ლატვიის საბაჟო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამმართველოს წარმომადგენლები და პროექტის ადგილობრივი მრჩეველი. განხილულ იქნა პირველი 6 თვის სამუშაო გეგმის შესრულების მდგომარეობა, პროექტის ადგილობრივი მრჩეველის მიერ გაკეთდა პრეზენტაცია და</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ანგარიში მიღწეული შედეგების და არსებული გამოწვევების შესახებ. კომიტეტის მიერ დამტკიცდა მომავალი 6 თვის სამუშაო გეგმა და შესაბამისი აქტივობები.
	საბაჟოს თანამშრომლების ტრენინგი საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების ეფექტიანი აღსრულების მიზნით	საბაჟოს თანამშრომლები ფლობენ საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების აღსრულებისათვის საჭირო ცოდნასა და ინფორმაციას	ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სსიპ - შემოსავლების სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	<p>Twinning-ის პროექტი ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების განვითარებისა და ცნობიერების ამაღლების კომპონენტს.</p> <p>2018 წელს, პროექტის ფარგლებში, რეგულარულად ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები და სემინარები როგორც საბაჟო დეპარტამენტის, ასევე პროექტში ჩართული სხვა დეპარტამენტების თანამშრომლებთან.</p>
	კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის მოთხოვნების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და ინფორმაცია გავრცელებულია	კერძო სექტორისთვის ჩატარებული შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	სსიპ - შემოსავლების სამსახური	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია	<p>2018 წლის 4 ოქტომბერს, შემოსავლების სამსახურში ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დაძმობილების პროექტის - „სატრანზიტო სფეროში ევროკავშირის კონვენციებთან საქართველოს მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) ამოქმედების მხარდაჭერა“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან (საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ბიუროსთან) გადამზიდავთა ასოციაცია; საქართველოს რკინიგზა; საქართველოს ბიზნეს ასოციაცია; საქართველოს ბანკების ასოციაცია; საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ასოციაცია; საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატა; საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია). შეიქმნა ე.წ. საკონტაქტო ჯგუფი. შემუშავებულ იქნა საკონტაქტო ჯგუფის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტი.</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>მომსახურებით ვაჭრობა</b>						
ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 129; საშუამავლო მომსახურების მიმწოდებლებისთვის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ზომების გატარების უზრუნველყოფა.	ელექტრონული კომერციის შესახებ კანონმდებლობის საბოლოო ვერსიის შემუშავება და მიღება	ევროპული რეგულაციების შესაბამისი ელექტრონული კომერციის სამართლებრივი ბაზა	მიღებული "ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საქართველოს პარლამენტში გაიმართა კანონის პროექტის „ელექტრონული კომერციის შესახებ,“ პრეზენტაცია საჯარო და კერძო სექტორისთვის. დაგეგმილია კანონის პროექტის წარდგენა პარლამენტში.
ასოცირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, მუხლი 103; დანართი XV-C, საფოსტო და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული წესები: მომსახურებებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.	"ფოსტის შესახებ" კანონმდებლობის შემუშავება და მიღება	ევროპული რეგულაციების შესაბამისი საფოსტო სფეროს სამართლებრივი ბაზა	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		ევროკომისიასთან კონსულტაციების შემდგომ, განხორციელდა კანონპროექტის დახვეწა და მათი შენიშვნების აღნიშნულ კანონპროექტში ასახვა. დაგეგმილია კანონპროექტისა და მისი თანმდევი კანონპროექტების წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის 2019 წელს
ასოცირების შესახებ შეთანხმების კარი IV, დანართი XV-B; სატელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის განსაზღვრული წესები: საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ	საქართველოს კანონმდებლობასა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურ ბისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივას (2002/58/EC); ავტორიზაციის შესახებ დირექტივას	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან	ცვლილებების პროექტი მიღებულია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადებული ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ მიეწოდა ევროკომისიას. ევროკომისიიდან მიღებულ შენიშვნებზე ქართული მხარის კომენტარები კვლავ გადაეგზავნა ევროკომისიას. ამასთან, კანონის პროექტი გადაეგზავნა კერძო სექტორს კომენტარებისთვის.

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.	(2002/20/EC); დაშვების შესახებ დირექტივასა (2002/19/EC) და ჩარჩო დირექტივას (2009/140/EC) შორის არსებული შეუსაბამობების გათვალისწინებით ცვლილებების პროექტის მიღება					
	საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივას შორის შეუსაბამობების შესახებ მომზადებული ანგარიშის შესაბამისად სამოქმედო გეგმის შემუშავება	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები	მომზადებული სამოქმედო გეგმა	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მომზადებულია კანონმდებლობასა და დირექტივას შორის შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.
<b>საჯარო შესყიდვები</b>						
ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ფაქრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: შესყიდვების პოლიტიკასა და მის შესრულებაზე მოქმედი დაგეგმილი საკანონმდებლო სამუშაოს თაობაზე ზუსტი და დროული ინფორმაციის	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება ასოციაციების შეთანხმების XVI-C და XVI-D დანართების შესაბამისად	საჯარო შესყიდვების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	შემუშავებული საკანონმდებლო აქტები	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით მომზადებული შენიშვნების განხილვა, რის შემდეგაც ისინი აისახა აღნიშნულ კანონპროექტში. განახლებული კანონპროექტი დაეგზავნება საქართველოს მთავრობას და მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებს განსახილველად უახლოეს მომავალში.

ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>მიწოდებას, რაც გულისხმობს საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო დაახლოებასა და უწყებათა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც. 2016 წლის 31 მარტს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (comprehensive roadmap), რომელიც მოიცავს 2016 წლიდან 2022 წლამდე შესასრულებელ მოქმედების ხუთ ფაზას. მხარეები გააგრძელებენ მსჯელობას სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის თაობაზე, უზრუნველყოფენ რა საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოციირების შესახებ შეთანხმებაში.</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement) ახალი ელ. სერვისებისა და პროცედურების განვითარება</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზაცია განხორციელებულ ია-</p>	<p>სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში დანერგილი დამატებითი სერვისები</p>	<p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, მომზადდა საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ინსტიტუციური მოწყობის ახალი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდილ ხარისხს.</p> <p>2018 წლის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში (e-Procurement) განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, რომელიც ასახავს 2017 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ახალი ინსტიტუციური მოწყობა. კერძოდ, სისტემაში ჩაშენდა ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ სატენდერო დავების გასაჩივრების ახალი პროცედურა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს საბჭო განსხვავებული შემადგენლობით. საბჭოს განახლებული შემადგენლობით ფუნქციონირებისა და ბიზნეს - პროცესების მხარდასაჭერად, ასევე დაინერგა ახალი ელექტრონული სერვისები. ცვლილება ასევე აისახა დავების განხილვის კალენდარში, სადაც ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ გასაჩივრებულ ტენდერებს ენიჭება განსხვავებული ფერი და უნიკალური ნომერი.</p> <p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მსოფლიო ბანკისა და DFID-ის საჯარო შესყიდვებში ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების პროექტის მხარდაჭერით, აქტიურად მუშაობს Open Contracting Data Standard (OCDS) დანერგვის კუთხით. ამ კუთხით, მიმდინარე წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ამოქმედდა სპეციალური</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ვებგვერდი - <a href="http://opendata.spa.ge">opendata.spa.ge</a>, რომლის მეშვეობით ეტაპობრივად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია და მონაცემები ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შესახებ JSON-ფორმატში, როგორც აგრეგირებული სახით, ასევე ცალკეული შესყიდვების შესახებ.</p> <p>2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (e-Procurement) დაემატა კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერის პროცედურა რევერსული აუქციონის გარეშე, ასევე დაინერგა სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ელექტრონული კითხვარი და სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების პროფილს დაემატა რევიონების მიხედვით კატეგორიზაციის კომპონენტი.</p>
	ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაცია გაზრდილია	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		<p>2018 წლის 13 - 14 მარტს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო რეგიონალურ სემინარში თემაზე „კორუფციის რისკის შეფასება საჯარო შესყიდვებში“. აღნიშნული სემინარი გაიმართა ევროსაბჭოს და ევროკავშირის ორგანიზებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანაორგანიზებით და აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის (CLDP) მხარდაჭერით;</p> <p>2018 წლის 19 - 20 მარტს გაიმართა სემინარი თემაზე „საჯარო-კერძო სექტორების თანამშრომლობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და იუსტიციის სამინისტროების, ასევე ქალაქ თბილისის მერიისა და სხვა დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა.</p> <p>2018 წლის 25 - 27 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>მონაწილეობა მიიღეს ქ. სეულში (სამხრეთ კორეა) გამართულ საერთაშორისო სემინარში – „საჯარო და ელექტრონული შესყიდვები 2018“, რომელიც მიზნად ისახავდა გლობალური მასშტაბით საჯარო შესყიდვების ბაზრებზე წვდომის გაფართოებას.</p> <p>2018 წლის 8 – 10 მაისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) გამართულ საერთაშორისო ფორუმში (PRIMO – 14th Procurement, Integrity, Management and Openness Forum). ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვა საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტები და ორგანიზაციები.</p> <p>2018 წლის 29 – 30 მაისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს OECD-ისა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის (Sigma) ფარგლებში ქ. კიევში (უკრაინა) გამართულ რეგიონულ კონფერენციაში საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით.</p> <p>2018 წლის 25 - 29 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები საჯარო შესყიდვებში გამოცდილების, მიდგომებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ასევე ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების პრაქტიკის გაცნობის მიზნით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ავსტრიაში, სადაც შეხვედრები გაიმართა ავსტრიის საჯარო შესყიდვების ფედერალურ უწყებასთან, ფინანსთა სამინისტროსთან, ავსტრიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სააგენტოსთან, ასევე ფედერალური მიწების რეგიონალური ხელისუფლების და</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ქალაქ გრაცის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.</p> <p>2018 წლის 10 - 12 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამისა (CLDP) და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები.</p> <p>2018 წლის 10 - 14 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ეგიდით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრას (Advanced Global Workshop on Government Procurement) ქ. ჟენევაში (შვეიცარიის კონფედერაცია), რომელიც მიზნად ისახავდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას.</p> <p>2018 წლის 17 - 21 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო კონფერენციებში „Global Public Procurement Conference“ და “4<sup>th</sup> Conference of the Asia Pacific Public Electronic Procurement Network“ ქ. ვაშინგტონში (ამერიკის შეერთებული შტატები). ღონისძიებების ფარგლებში მოხდა საქართველოში არსებული საჯარო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარება და დაისახა სამომავლო გეგმები საჯარო შესყიდვებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>გლობალური სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებული გეგმები.</p> <p>2018 წლის 23 – 25 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. კიშინიოვში (მოლდოვა) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WTO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ რეგიონულ სამუშაო შეხვედრაში საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით.</p> <p>2018 წლის 6 – 8 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ასტანაში (ყაზახეთი) გამართულ სამუშაო შეხვედრაში სახელწოდებით „ანტიკორუფციული ინიციატივა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო შესყიდვებში კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარებას.</p> <p>2018 წლის 13 – 15 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში (Advanced Workshop on Government Procurement and Governance), ქ. ჟენევაში (შვეიცარიის კონფედერაცია).</p>
	ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობა გაზრდილია	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		2018 წლის განმავლობაში, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში და საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის დახმარებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სამუშაო შეხვედრები გამართა ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ბათუმში (15 ივნისი), თელავში (13 ივლისი), გორში (13

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	დაინტერესებული მხარეებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში	თანამშრომლების რაოდენობა			<p>ავგისტო), ქუთაისსა (10 სექტემბერი) და ზუგდიდში (20 სექტემბერი). აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეების საჯარო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის ხელშეწყობასა და წახალისებას.</p> <p>2018 წლის მონაცემებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების შვიდი ნაკადი სახელწოდებით „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (აიიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.</p> <p>ასევე, გაიმართა ერთდღიანი სემინარები „სახელმწიფო შესყიდვების აქტუალური გამოწვევები და სიახლეები“, საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტების მერებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის. ტრენინგის ფარგლებში, სულ გადამზადდა 635 მსმენელი. აქედან, 352 მსმენელი სახელმწიფო უწყებების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები, რომელთაც ტესტირების საფუძველზე გადაეცათ სერთიფიკატები. რეგიონების მუნიციპალიტეტების მერებთან გამართული სემინარების ფარგლებში, ასევე გადამზადდა 84 მსმენელი, ხოლო 199 მსმენელი, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი კურსი, სემინარის ფარგლებში გაეცნო</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება და ელექტრონულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე	საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება საჯარო შესყიდვების სფეროში	spa.ge-ზე გამოქვეყნებულია მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		<p>სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე სიახლეებს.</p> <p>USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოამზადა და საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გამოსცა შემდეგი სახელმძღვანელოები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: CMR. ePlan SMP და რანჟირების ელექტრონული მოდულები;</li> <li>• სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: ელექტრონული ტენდერები;</li> <li>• სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: შესყიდვების ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით და საგრანტო კონკურსის ელექტრონული სისტემა;</li> <li>• სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: სისტემის ფუნქციონალი, მომხმარებლის რეგისტრაცია და პროფილის მართვა</li> <li>• საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;</li> <li>• სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები და საუკეთესო პრაქტიკა</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<b>ინტელექტუალური საკუთრების უფლებები</b>						
<p>ასოციაციების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები: შესაბამისი სამთავრობო ორგანოების ან აღმასრულებელი სააგენტოების, აღმასრულებელი შესაძლებლობების გაძლიერება, ისევე როგორც სასამართლო სისტემის სათანადო/ გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა უფლებების მფლობელთათვის გარანტირებული იყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტიანი იმპლემენტაცია.</p>	<p>შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების მოწყობა</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლების, მოსამართლეთა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული მუშაობა.</p>	<p>შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა</p>	<p>2018 წლის 15 მაისს „საქპატენტის“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით „ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო პალატის (BoA) საქმიანობის და პრაქტიკის მიმოხილვა“, რომლის მიზანია დაინტერესებული პირებისათვის EUIPO-ს სააპელაციო პალატის პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა ევროკავშირის უახლესი პრაქტიკა სასაქონლო ნიშნებთან და დიზაინებთან მიმართებაში, მათ შორის, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის უარის თქმის საფუძვლები სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნები, ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშნების მიმართება, სასაქონლო ნიშნების და დიზაინის ურთიერთკავშირი და დავებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შეხვედრას დაესწრნენ საქპატენტის სააპელაციო პალატის წევრები და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ასევე ადვოკატთა ასოციაციის წევრები.</p> <p>2018 წლის 21-22 ივლისს, ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით შედგა სამუშაო შეხვედრა თემაზე: "სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრაზე ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. ასევე, საქპატენტის</p>

ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელებს საქპატენტის სააპელაციო პალატის და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, მოისმინეს ამერიკელი მოსამართლეების მოსაზრებები და რეკომენდაციები.</p> <p>2018 წლის 19 ოქტომბერს საქპატენტმა, ევროკავშირის ინიციატივისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SME – VIP4SME) გამართა შეხვედრა პატენტრწმუნებულებთან და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოღვაწე იურისტებთან. აღნიშნული პროექტი ეხმარება ქართველ მეწარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ეკონომიკური ღირებულების შექმნას, ისევე როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებას. შეხვედრაზე განიხილეს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის პრაქტიკა, ინტერნეტ სერვის პროვაიდერთა პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ის გზები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინტელექტუალური საკუთრების სერვისებზე წვდომა.</p>
<p>ასოციირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები: საქართველოს</p>	<p>საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და</p>	<p>გამლიერებულია საქპატენტის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსი, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ შესასრულოს მისი</p>	<p>თანამშრომელთათვის ორგანიზებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>2018 წლის 28 თებერვალს, შეხვედრა გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარესა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო-ს) სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სექტორის დირექტორს შორის. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს რამდენიმე მიმდინარე პროექტი, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია საქპატენტის მონაცემთა</p>



ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ფუნქციონირებისთვის მხარდაჭერა ინდუსტრიული საკუთრების უფლებათა და საავტორო უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად; მესამე ქვეყნის ორგანოებთან და სამრეწველო ასოციაციებთან თანამშრომლობის განვრცობა.</p>	<p>სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება, განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით</p>	<p>ძირითადი ფუნქციები (სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო უფლებების დაცვა)</p>				<p>ბაზების ისმო-ს სარეგისტრაციო სისტემაში ინტეგრირებასთან. კერძოდ, ისმო-ს E-Filing-ის ინსტრუმენტის საშუალებით ქართველ მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა ქართული ინტერფეისით ელექტრონულად გაავრცელოს საქპატენტში შეტანილი განაცხადი მადრიდის სისტემის წევრ ქვეყნებში. საქპატენტი არსებულ მონაცემთა ბაზაში შეძლებს საერთაშორისო განაცხადების ავტომატურად მიღებას, სადაც გავრცელების ქვეყნად მითითებული იქნება საქართველო.</p> <p>ისმო-ს წარმომადგენელმა, ასევე, შეხვედრა გამართა საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინების დეპარტამენტის ექსპერტებთან და უშუალოდ მათგან მოისმინა საქართველოში მადრიდის სისტემის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადების მიღებისა და გავრცელების მიმდინარე საკითხების შესახებ.</p> <p>2018 წლის 5-9 მარტს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (ისმო) და „საქპატენტი“ ორგანიზებით, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგებისთვის ჩატარა რიგით მეოთხე ტრენინგი თემაზე: „სასაქონლო ნიშნები და მათი აღსრულება“. ისმო-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის პროექტის ფარგლებში ტრენინგი ჩატარეს, უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა.</p> <p>2018 წლის 14 მარტს, საქპატენტში გაიმართა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქართველო-ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის სხდომა, სადაც ხელი მოეწერა გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის N1/2018 გადაწყვეტილებას „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და მეორე მხრივ საქართველოს შორის ასოციირების</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>შესახებ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ“. გადაწყვეტილების ხელმოწერის შედეგად, ევროკავშირის ტერიტორიაზე, დაცვა მიენიჭა ოთხ ახალ ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნას: „ტყიბულის ჩაი“, „მაჭახელას თაფლი“, „ქუთაისის მწვანილი“ და „ახალქალაქის კარტოფილი“. ასევე, განახლდა საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების სია.</p> <p>2018 წლის მარტში საქპატენტი ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტის (EUIPN) სამიზნე ქსელს შეუერთდა. აღნიშნული მიზნად ისახავს უწყებების ელექტრონული მმართველობის სისტემურ განვითარებასა და ინტეგრაციის შემდეგი ეტაპის განხორციელებას. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტი (EUIPN) არის ონლაინ სამიზნე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მონაწილე ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომსახურებებისა და მათთან დაკავშირებული ხარისხის სტანდარტების შესახებ.</p> <p>2018 წლის 19 მარტს, საქპატენტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების საკითხი, რაც მიზნად ისახავს, „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების ქუნევის აქტთან“ კანონის შესაბამისობაში მოყვანას. სამუშაო შეხვედრაში, საქპატენტის თანამშრომლებთან</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ერთად, მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ბრენდინგისა და დიზაინის დეპარტამენტის ლისაბონის განყოფილების დირექტორმა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელმა.</p> <p>2018 წლის 2-3 მაისს, „საკპატენტში“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის ექსპერტებისათვის ჩატარდა ორდღიანი პრაქტიკული სემინარი თემაზე - „საერთაშორისო განაცხადების ელექტრონული სისტემა“. სემინარი მიზნად ისახავდა მადრიდის სისტემის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადების მიღებისა და გავრცელების ძირითადი მახასიათებლებისა და სიახლეების გაგნობას. სემინარს უძღვებოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ბრენდინგისა და დიზაინის სექტორის პროექტების მენეჯერი, რომელიც მონაწილეებს ესაუბრა აღნიშნული სისტემის ელექტრონულ ფორმატში განაცხადის შეტანის, დამუშავების, უწყებებს შორის გადაგზავნისა და განმცხადებელთან კომუნიკაციის შესაძლებლობებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდება ისმო-ს წევრი მესამე ქვეყანა, რომელიც გამოიყენებს საერთაშორისო განაცხადების წარდგენის ელექტრონულ სისტემას.</p> <p>2018 წლის 31 მაისს, ქალაქ ბერნში გაფორმდა შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახლებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ. ხელმოწერის ცერემონია გაიმართა შვეიცარიის კონფედერაციის ინტელექტუალური</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საკუთრების ოფისში. აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, შვეიცარიის ტერიტორიაზე ნაცვალგების წესით მოხდა ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებების და წარმოშობის წყაროს დაცვა, ასევე განისაზღვრა მათ გამოყენებასა და უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები.</p> <p>2018 წლის 4 - 8 ივნისს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (ისმო) „საქპატენტის“ ორგანიზებით, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგებისთვის ჩატარდა ბოლო, რიგით მეხუთე ტრენინგი თემაზე: „სავტორო და მომიჯნავე უფლებები“.</p> <p>ტრენინგის მიზანია, სავტორო და მომიჯნავე უფლებებისა და მათი აღსრულების საკითხებზე სალექციო კურსის ტექნიკური და მეთოდოლოგიური მომზადების სწავლება. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებული შესაბამისი სასწავლო მასალებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავება, რომელიც განკუთვნილი იქნება საჯარო მოსამსახურეთათვის, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისათვის, იურისტებისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.</p> <p>2018 წლის 13-14 ივნისს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WTO) და საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს საპატენტო კანონში 2018 წლის 11 იანვარს ძალაში შესული ცვლილებების საფუძველზე, „პატენტი</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>დაცული გამოგონების და სასარგებლო მოდელის გამოყენებისათვის სავალდებულო ლიცენზიების გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის ტექსტის შემუშავება.</p> <p>2018 წლის ივლისის თვეში საქართველოს პატენტების სრული კოლექცია პირველად განთავსდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) საპატენტო საძიებო სისტემაში Patentscope. აღნიშნული კოლექცია მოიცავს საქპატენტის მიერ გაცემულ ყველა პატენტს უწყების შექმნიდან (1992) დღემდე, ჯამში დაახლოებით 8850 დოკუმენტს. Patentscope არის საპატენტო საძიებო სისტემა, რომელშიც თავმოყრილია როგორც საერთაშორისო საპატენტო განაცხადები (PCT განაცხადები), ასევე მრავალი ქვეყნის საპატენტო განაცხადები და პატენტები, ჯამში 70 მილიონი დოკუმენტი. საქართველოს პატენტების კოლექცია განახლდა და შეივსო ასევე ევროპის საპატენტო უწყების (EPO) საძიებო სისტემაში Espacenet, რომელშიც თავმოყრილია 100 მილიონი საპატენტო დოკუმენტი. აღნიშნულ სისტემებში საქართველოს პატენტების განთავსება ხელს შეუწყობს ამ პატენტების მოძიების შესაძლებლობის გაუმჯობესებას მსოფლიო მასშტაბით და ისინი სათანადო ადგილს დაიკავებენ მთელი მსოფლიოს ტექნიკის დონის დოკუმენტებს შორის.</p> <p>2018 წლის ივლისის თვეში საქპატენტი შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ელექტრონულ პლატფორმას WIPO CASE. ეს პლატფორმა წარმოადგენს საპატენტო ექსპერტიზის მასალებზე ცენტრალიზებული წვდომის სისტემას. მისი საშუალებით სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებებს შესაძლებლობა ეძლევათ უსაფრთხოდ გაცვალონ საპატენტო განაცხადის ძიებასთან და ექსპერტიზასთან დაკავშირებული</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>დოკუმენტაცია და ამგვარად წარმოადგენს ე.წ. „საქმის განაწილების“ პროგრამების (work sharing) განხორციელების ინსტრუმენტს. WIPO CASE საქპატენტის საპატენტო ექსპერტებს დაეხმარება საპატენტო მივსასთან და ექსპერტიზასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში და ექსპერტიზის ხარისხის და ეფექტიანობის შემდგომ გაუმჯობესებაში.</p> <p>2018 წლის 17-19 სექტემბერს, საქპატენტს ოფიციალური ვიზიტით მეორედ ეწვია WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი. მან WIPO-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გახსნა WIPO-ს აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული, ინგლისურენოვანი საერთაშორისო სასწავლო კურსი - „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“, რომელიც წელს მეორედ ჩატარდა საქართველოში. ამ სფეროში საქართველოს წარმატებული გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, სადაც WIPO-ს აკადემიის გადაწყვეტილებით, პროფესიული განვითარების კურსი ჩატარდა.</p> <p>2018 წლის 24 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, შვეიცარიის კონფედერაციის ქ. ჟენევაში, გაიმართა ისმო-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის დელეგაციამ, თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. გენერალური ასამბლეის სესიაზე, სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის (პარიზის კავშირი) თავმჯდომარედ ნიკოლოზ გოგილიძე აირჩიეს, რომლის კანდიდატურაც ცენტრალური</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა - CEBS წარადგინა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელი, ასევე თავმჯდომარეობს ისმო-ს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალურ კავშირს (მადრიდის კავშირი) და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ქვეყნის აქტის სამუშაო ჯგუფს, რაც წარმოადგენს საქართველოს აქტიური ჩართულობის შედეგს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში.</p> <p>2018 წლის ნოემბრის თვეში საქპატენტი ისმოს-ს მიერ ადმინისტრირებულ პროგრამას „eFiling“-ს შეუერთდა, რისი საშუალებითაც ქართველი მომხმარებლები საერთაშორისო განაცხადის წარდგენას ელექტრონულად შეძლებენ, რაც გაუადვილებს მათ „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის“ წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. საქართველო ისმო-ს წევრი მესამე ქვეყანაა, რომელიც გამოიყენებს საერთაშორისო განაცხადების წარდგენის ელექტრონულ სისტემას. მადრიდის სისტემა სასაქონლო ნიშნის დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობით განმცხადებელს ერთ ენაზე, ერთი განაცხადის წარდგენით, შეუძლია სასაქონლო ნიშნის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) წევრ 118 ქვეყანაში.</p>
	ევროპის ინტელექტუალური საკუთრების ოფისთან (EUIPO), სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის გაიდლაინების	საქპატენტის გაძლიერებული ადამიანური რესურსი და გაზრდილი ინსტიტუციონალური შესაძლებლობები	სასაქონლო ნიშნებსა და დიზაინებზე შემუშავებული ექსპერტიზის გაიდლაინები	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“		დადებითად გადაწყდა გრანტის გამოყოფის საკითხი და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება გრანტის მიღებისათვის და პროექტის დაწყებისათვის.

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	იმპლემენტაციის პროექტის მომზადება და დაწყება					
<p>ასოციაციების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები: ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლების დაცვის სფეროში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და უფლებების მფლობელებთან ეფექტიანი დიალოგის უზრუნველყოფა.</p>	<p>ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება</p>	<p>ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>2018 წლის 27 თებერვალს, WIPO-ს და საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა სემინარი „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციისათვის მადრიდის სისტემის ეფექტური გამოყენება“. სემინარს დაესწრნენ საქართველოს პატენტრწმუნებულები და კერძო კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც იყენებენ ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემას. საზღვარგარეთ სასაქონლო ნიშნების ძიების, განაცხადის წარდგენისა და მართვის პროცესში აღნიშნული სისტემის უკეთ გამოყენების მიზნით, სემინარის მონაწილეებმა ისმო-ს ექსპერტებისგან მიიღეს რეკომენდაციები მადრიდის სისტემის საქონლისა და მომსახურების მონაცემთა ბაზის მართვასა და ელექტრონული მომსახურების საკითხებში.</p> <p>2018 წლის 14-16 აპრილს, ELSA-ს სასწავლო ვიზიტების ფარგლებში, რომლის მიზანია კულტურულ-შემეცნებითი ურთიერთგაცვლა, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისისა (ELSA Tbilisi) და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თანამშრომლობით, პოლონეთიდან წარმოდგენილი 11 სტუდენტისათვის, საქპატენტის მცხეთის ოფისში ჩატარდა ლექცია თემაზე - „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. ღონისძიება მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას.</p> <p>2018 წლის 17 მაისს, „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SMESVIP4SME) პროექტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა საქპატენტსა და მცირე და</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი, ბრენდინგის სტრატეგია, მისი ეკონომიკური მნიშვნელობა და დაცვის მექანიზმები. ამასთან, პროექტის ფარგლებში საქპატენტის წარმომადგენლები დაინტერესებულ კომპანიებთან გამართავენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, შეაფასებენ კომპანიის ინტელექტუალური საკუთრების აქტივებს და დაეხმარებიან მათ IP პორტფელის შემუშავებაში.</p> <p>2018 წლის 19 ივნისს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტის - „ინტელექტუალური საკუთრება ახალგაზრდებისთვის“ და მასწავლებლებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა მასწავლებლების ტრენინგი. აღნიშნული პროექტი განკუთვნილია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დანერგონ საგანმანათლებლო პროგრამებში გამომგონებლობისა და ინოვაციის სწავლება. პროექტის მიზანია, საფუძველი ჩაეყაროს ინტელექტუალური საკუთრების სწავლებას სკოლებსა და უნივერსიტეტებში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის გააზრებასა და საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებას. პროექტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით დაინტერესებული სკოლის პედაგოგები მიიღებენ საშუალებას გადამზადდნენ ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში და გაეცნონ გამომგონებლობის სწავლების მეთოდებს, რის საფუძველზეც მათ შეეძლებათ აღნიშნული საგანი ასწავლონ სკოლის მოსწავლეებს.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>2018 წლის 20-21 ივნისს, საქპატენტმა ისმო-სთან თანამშრომლობით, ჩატარა საერთაშორისო კონფერენცია - „ინტელექტუალური საკუთრება და განათლება“. კონფერენციაზე განხილულ იქნა ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების მნიშვნელობა, ასევე, ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების სწავლების ძირითადი მეთოდოლოგიები როგორც დაწყებით, ისე მომდევნო საგანმანათლებლო ეტაპებზე.</p> <p>2018 წლის 15-22 ივლისს საქართველოში მესამედ ჩატარდა საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. ღონისძიება განხორციელდა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia), საქპატენტის, ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მსოფლიო პროექტების ორგანიზაციისა (WPO) და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის CLDP-ის პროგრამის ერთობლივი თანამშრომლობით. 45 სტუდენტმა 17 ქვეყნიდან, ევროპული და ქართული უნივერსიტეტებიდან მოისმინეს საქპატენტის ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სპეციალისტების ლექციები ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის საშუალებების შესახებ.</p> <p>2018 წლის 20 ივლისს, ჟურნალისტებისთვის ჩატარდა შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით. შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით</p>

ასოციაციის შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>გაიმართა. ტრენინგზე, ჟურნალისტებს ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები ესაუბრნენ ინტელექტუალური საკუთრების არსისა და მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, საქპატენტისა და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს გააცნეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და უფლებების აღსრულების მიმართულებით საქართველოში დღეს არსებული ვითარება.</p> <p>2018 წლის 19 სექტემბერს დაიწყო რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგად კურსზე (DL101GE), რომლის გავლა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ქართულ ენაზე შეეძლება. აღნიშნული კურსის ქართულენოვანი ვერსია შემუშავდა საქპატენტის მიერ, WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში.</p> <p>2018 წლის 13 ოქტომბერს საქპატენტმა, სხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო Start Business Solutions- ის ორგანიზებით გამართულ გამოფენაში Start-In-Georgia - 2018 - „ყველაფერი ჩემი სტარტაპისთვის“. სტარტაპებისთვის მოწყობილ ყველაზე მასშტაბურ გამოფენაზე, 35-მდე კომპანია წარსდგა. ღონისიების მიზანი იყო დამწყები მეწარმეების ხელშეწყობა სასურველი კავშირებების დამყარებაში. გამოფენაზე საქპატენტის ექსპერტები დაინტერესებულ სტუმრებს აწვდიდნენ ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობასა და როლზე ბიზნესის განვითარების მიმართულებით, ასევე საქპატენტის საქმიანობის შესახებ.</p> <p>მიმდინარე წელს საქპატენტმა სხვადასხვა სახით მონაწილეობა მიიღო ათამდე საინოვაციო</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>კონკურსსა და საგანმანათლებლო პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდებისა თუ სხვადასხვა დაინტერესებული პრებისათვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებას.</p> <p>2018 წლის 24 დეკემბერს საქპატენტის ორგანიზებით პატენტწმუნებულთათვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ჩატარდა ტრეინინგი, სადაც აღნიშნულ პირებს საქპატენტის თანამშრომლებმა გააცნეს ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების განაცხადებზე საქმისწარმოების ელექტრონული სისტემისა და მადრიდის e-filing-ის სისტემის შესახებ.</p>
	საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების დაბეჭდვა	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება	გამოცემული და საზოგადოებაში გავრცელებული საინფორმაციო ხასიათის მასალები	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		<p>მომზადდა და გამოიცა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ჟურნალი „აქტორტრატია“ – 80გვ. 200ც.</li> <li>➤ წიგნი „ინტელექტუალური საკუთრება - პრაქტიკა და ანალიზი“ – 132გვ. 300 ც.</li> <li>➤ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ანგარიში/2017 – 22გვ. 500ც.</li> <li>➤ საქპატენტის ანგარიში/2017 – 64გვ.500ცალი</li> <li>➤ საბავშვო წიგნი „სარეცხის მანქანა“ A5 (14გვ.) 1200 ც.</li> <li>➤ მცირეფორმატიანი საბავშვო წიგნი „ქოლგა“ A5 (14გვ.) 1200ც.</li> <li>➤ მცირეფორმატიანი საბავშვო წიგნი „კომპასი“ A5 (12გვ.) 1200ც.</li> <li>➤ მცირეფორმატიანი საბავშვო წიგნი „დორემიუს-სოლასი“ A5 (12გვ.) 1200ც.</li> <li>➤ მცირეფორმატიანი საბავშვო წიგნი „ვარსკვლავ-სანთლები“ A5 (12გვ.) 1050ც.</li> </ul> <p>WIPO-ს და EPO-ს პუბლიკაციების გამრავლება-აკინძვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ Guidelines for Examination in the EPO November 2017/A4 (880გვ. II ნაწილი) 8 ც.</li> </ul>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<ul style="list-style-type: none"> <li>➤ Guidelines for Search and Examin. at the EPO as PCT Authority/ A4 (254გვ.)8 ც.</li> <li>➤ EPO Boards of appeal case law 2017/ A4 (104გვ.)8 ც.</li> <li>➤ Regulactions unger the PCT (July 1, 2018)/ A4 (186გვ.)8 ც.</li> <li>➤ Administrative Instructijns under the PCT (July 1, 2017)/ A4 (106გვ.)8 ც.</li> <li>➤ PCT Rreceiving office guidelines (July 1,2018) /A4 (104გვ.)8 ც.</li> <li>➤ PCT International searsh and preliminary Examin. Guidelines /A4 (106გვ.)8 ც.</li> <li>➤ საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს წიგნი „ქვევრი და კახური ღვინო“ 17X24 (232გვ.) 300ც.</li> <li>➤ ბროშურა „სასაქონლო ნიშანი“ A5 (16გვ.) 500 ც.</li> <li>➤ ბროშურა „დიზაინი“ A5 (20გვ.) 500ც.</li> <li>➤ ბროშურა „გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელებები“ A5 (16გვ.) 300 ც.</li> <li>➤ დ. გაბუნიას წიგნი „გეოგრაფიული აღნიშვნები ხარისხი და განვითარება“ 16,5X22,5 (246გვ.) 500ც.</li> </ul>
<p><b>ასოციაციების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები:</b> კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების გატარება, მათ შორის აღნიშნულ საქმიანობათა შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება, რომელიც</p>	<p>კონტრაფაქციისა და პირატობასთან დაკავშირებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელთა ამაღლებული ცნობიერება და კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>		<p>2018 წლის თებერვალში საქპატენტი შეუერთდა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV) ახალ ელექტრონულ სისტემას - “UPOV PRISMA”, რომელიც განკუთვნილია მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადების მოსამზადებლად და სასურველი ქვეყნების შესაბამის უწყებებში ელექტრონულად გადასაგზავნად. აღნიშნული სისტემის გამოყენებით, მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადების ელექტრონულად გადაგზავნა შესაძლებელია ასევე, საქპატენტში. ამასთან, განაცხადის შესაბამისი ფორმები საქპატენტის მიერ ითარგმნა და ხელმისაწვდომია ქართულ ენაზეც.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ურთიერთგაცვლილი იქნება მხარეთა შორის.						<p>2018 წლის 15 თებერვალს, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების „სულგუნისა“ და „თუშური გუდას“ წარმოების სპეციფიკაციების გადახედვისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, საქპატენტში, ჩატარდა სენსორული ანალიზი, რომლის შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრა აღნიშნული გეოგრაფიული აღნიშვნების ორგანოლეპტიკური მახასიათებლები. აღნიშნული ხელს შეუწყობს გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარებას საქართველოში. შეხვედრა გაიმართა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაფინანსებული პროექტის - „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ - ფარგლებში.</p> <p>2018 წლის 12 ივლისს, ქ. ბათუმში ჩატარდა რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მიერ. კონფერენცია მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას, კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავებას, უწყებათაშორისი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და უფლებების აღსრულების მიმართულებით დაინტერესებულ პირებს შორის კონტაქტების დამყარებას.</p> <p>კონფერენციაზე განიხილეს ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სათანადო აღსრულებას, მათ შორის ბრენდინგის სტრატეგიის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, უფლებების აღსრულებასთან მიმართებაში ისაუბრეს ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენასა და კონტრაფაქციული საქონლის ონლაინ სივრცეში გაყიდვებზე. ყურადღება გამახვილდა DCFTA-ის შეთანხმების საფუძველზე ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონში 2018 წელს განხორციელებულ ცვლილებებზე, პარალელურ იმპორტზე, მტკიცებულებების უზრუნველყოფის და ზიანის დადგენის თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკასა და სხვა აქტუალურ თემებზე.
	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების უზრუნველყოფა	კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ბრძოლის გაზრდილი ეფექტურობა; საზოგადოების გაზრდილი ცნობიერება; კონტრაფაქციისა და პირატობის შესახებ შექმნილი სტატისტიკური ბაზა	მომზადებული სტატისტიკური ინფორმაცია კონტრაფაქციისა და პირატობის შესახებ .	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		შეგროვებულია კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები, რომელთა გაზიარება ევროკავშირთან საქართველო ევროკავშირის ვაჭრობის საკითხებზე ასოციაციების კომიტეტის სამოქმედო დასკვნების მიხედვით, დაგეგმილია მომდევნო წლის პირველ კვარტალში.
<b>კონკურენცია</b>						
ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები	კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება, საჯარო და კერძო სექტორის	სამიზნე ჯგუფებში გაზრდილი ცნობიერება კონკურენციის სფეროში.	ჩატარებული შეხვედრების/სემინარების/საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა	სსიპ - კონკურენციის სააგენტო		2018 წლის განმავლობაში, კონკურენციის პოლიტიკის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 15 ღონისძიება. ღონისძიებების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ: ბიზნეს სექტორის,

ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>ითანამშრომლებენ ასოციირების შესახებ შეთანხმების კონკურენციის თავისა და მასთან დაკავშირებული რეფორმების იმპლემენტაციაზე. თანამშრომლობა შეეხება საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩოსა და შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის გარანტირების უზრუნველყოფას, ისევე როგორც დიალოგის გაღრმავებას კონკურენციის სფეროსა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში საკანონმდებლო აღსრულების თაობაზე;</p>	<p>წარმომადგენლებისათვის ინფორმაციული შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება.</p>					<p>მარეგულირებელი ორგანოების (საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და საქართველოს ეროვნული ბანკი), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ადვოკატთა ასოციაციის წევრები, მოსამართლეები, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. ღონისძიებების ფარგლებში, ევროპელი ექსპერტების მიერ განხორციელდა კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე ევროკავშირის გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება ხსენებული უწყებების წარმომადგენლებისათვის.</p> <p>სააგენტოში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, 2018 წლის 28-29 სექტემბერს გაიმართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდნენ ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციის უწყებების, აკადემიური წრეების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.</p> <p>2018 წლის 27 სექტემბერს გაიმართა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებების განხილვის მრგვალი მაგიდა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, მარეგულირებელი ორგანოების, ბიზნესომბუდსმენის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, OECD-ის, UNCTAD-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონკურენციის ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით.</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით 10-12 სექტემბერს გაიმართა კონფერენცია სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღმოფხვრის შესახებ.</p> <p>წლის განმავლობაში გაფორმდა 11 თანამშრომლობის მემორანდუმი, მათ შორის ბულგარეთის, საბერძნეთის, უკრაინის, მონღოლეთისა და პერუს კონკურენციის უწყებებთან, ასევე საქართველოს ბიზნესომბუდსმენტთან, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, ეროვნულ ბანკთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან და სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან.</p>
	<p>კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე</p>	<p>კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p>ჩატარებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებების რაოდენობა</p>	<p>სსიპ - კონკურენციის სააგენტო</p>		<p>2018 წლის განმავლობაში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა 27 ღონისძიება (ტრენინგები და სამუშაო ვიზიტები), რის შედეგადაც კვალიფიკაცია აუმაღლდა სააგენტოს 30-მდე თანამშრომელს.</p> <p>სააგენტოს თავმჯდომარემ განახორციელა ვიზიტები ბულგარეთში, მოლდოვაში, უკრაინაში, ლატვიაში, ყაზახეთში, ავსტრიაში, ჩეხეთში, შვეიცარიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კონკურენციის სფეროს აქტუალურ საკითხებზე მსჯელობის გარდა, განხილული იყო საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები. გარდა ამისა, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) ყოველწლიურ შეხვედრაში, უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარებში, სერბეთის, ლიეტუვის, ალბანეთის, ჩეხეთისა და უკრაინის კონკურენციის უწყებების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და ტრენინგებში.</p> <p>ევროკავშირის პროექტის, “საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა” ფარგლებში ორგანიზებულ იქნა ტრენინგები კონკურენციის სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე (კონცენტრაციები, სახელმწიფო დახმარება, ჯარიმების დაკისრებისა და დაანგარიშების წესი, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული და დისკრიმინაციული ბარიერები, საქმის მოკვლევის ეტაპები კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებთან მიმართებით, ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი და ა.შ.).</p> <p>ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით, სააგენტოს 6-მა თანამშრომელმა 2 კვირიანი სტაჟირების პროგრამა გაიარა გერმანიის, ავტრიის, პორტუგალიისა და რუმინეთის კონკურენციის უწყებებში.</p> <p>ასევე, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ევროკავშირის კონკურენციის დირექტორატში (DG Competition), სადაც სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ ტრენინგებს კონკურენციის აღსრულების აქტუალურ საკითხებზე და ადგილზე გაეცნენ კონკურენციის გენერალური დირექტორატის საქმიანობას. ვიზიტის ფარგლებში სააგენტოს თავმჯდომარემ ოფიციალური შეხვედრები გამართა DG Competition-სა და DG Near-ის წარმომადგენლებთან. სააგენტოს წარმომადგენლები ასევე ეწვიენ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (ლუქსემბურგი), სადაც მოსამართლეების მიერ მოხდა კონკურენციის მიმართულებით</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>არსებული გამოწვევებისა და ტენდენციების გაზიარება სასამართლო წარმოების კუთხით.</p> <p>2018 წლის ნოემბერში, კონკურენციის სააგენტოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის გლობალური ფორუმის მე-17 შეხვედრაში.</p>

**ვაჭრობა და მდგრადი განვითარება**

<p><b>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები:</b> მხარეები გააგრძელებენ დიალოგს ასოცირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში განხილული საკითხების თაობაზე, კერძოდ, ყველა საერთაშორისო ფუნდამენტალური შრომითი სტანდარტის შესაბამისი სათანადო შრომითი ინსპექციის სისტემის განვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან, შრომის კოდექსის იმპლემენტაციასთან, იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლის მხარეც ერთ-ერთი მათგანია, და</p>	<p>ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM) თანამშრომლობა, კერძოდ, საქართველოს სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა არაწევრი თანამშრომელი ქვეყნის სტატუსის შესაბამისად</p>	<p>თევზჭერასთან დაკავშირებულ საკითხებში გამოცდილების გაღრმავება</p>	<p>შეხვედრების რაოდენობა, რომელშიც საქართველოს დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა</p>	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო</p> <p>სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>	<p>ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების წერილის (LOA) ფარგლებში, GFCM-მა საქართველოს მხარეს ორი ერთეული ელექტრონული სიგნალების გადამცემი ხელსაწყო ე.წ. „ტრანსპონდერი“ უსასყიდლოდ გადასცა. 2018 წლის ოქტომბრიდან - დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა GFCM-ის ექსპერტების მიერ შემენელი ელექტრონული მონიტორინგის ტრანსპონდერების საცდელ რეჟიმში გამოცდა.</p> <p>გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც GFCM-ის წარმომადგენლებმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, ასევე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს გააცნეს მცირემასშტაბიანი თევზჭერის ორ გემზე დასამონტაჟებელი ელექტრონული მონიტორინგის ორი ხელსაწყო პარამეტრები და მონაცემები, განიხილეს აღნიშნული მოწყობილობების არსებულ ელექტრონულ მონიტორინგის სისტემებთან თავსებადობის საკითხები. ე.წ. „ტრანსპონდერები“ ბათუმში ორ საცდელ გემზე დამონტაჟდა, რომელთა სიგრძეებია 13 მეტრი და 8,9 მეტრი.</p> <p>2018 წლის განმავლობაში, საქართველოს მხარემ, კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსიპ - გარემოს</p>
--	---	---	---	--	--	---

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
<p>მდგრადი განვითარებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაიზიარებენ და გაცვილიან საუკეთესო/მოწინავე პრაქტიკას აღნიშნული თავით განსაზღვრული ვალდებულებების სამომავლო შესრულების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გათვალისწინებით.</p>						<p>ეროვნულმა სააგენტომ და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, მონაწილეობა მიიღეს FAO/GFCM-ის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ 15 შეხვედრაში მათ შორის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ შეხვედრებში:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>2018 წლის 13 - 15 მარტს, ქალაქ ტრაპიზონში GFCM-ის შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აკვაკულტურისა და აკვაკულტურის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით.</li> <li>2018 წლის 24-27 აპრილს, ქალაქ ბეირუთში GFCM-ის სამუშაო შეხვედრა „უკანონო, არარეგულირებული და აღურიცხავი თევზჭერა (IUU), მონიტორინგის კონტროლის სისტემები (VMS)“-სა და „შავ ზღვაში კამბალის ჭერის მონიტორინგის ინტეგრირებულ სისტემასთან დაკავშირებით.</li> <li>2018 წლის 06-07 ივნისს, ქალაქ სოფიაში მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია შავი ზღვის თევზჭერისა და აკვაკულტურის საკითხებზე.</li> <li>2018 წლის 05 - 07 ივლისს, ქალაქ მადრიდში, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების აღსრულების კომიტეტის (Compliance Committee) სამუშაო შეხვედრა.</li> <li>2018 წლის 24-26 სექტემბერს, ქალაქ მალტაში GFCM-ის მაღალი დონის კონფერენცია „მდგრადი მცირემასშტაბიანი თევზჭერა შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვაში“. თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ასევე სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო FAO/GFCM-ის მიერ ორგანიზებულ შავი ზღვის თევზების</li> </ol>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მარაგების შეფასების მიზნით განხორციელებულ ერთ საერთაშორისო ექსპედიციაში.
	თანამშრომლობა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მცენარეთა კომიტეტის ფარგლებში	ევროკავშირისა და საქართველოს შორის კონვენციის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება და განსახილველ საკითხებზე ერთიანი პოზიციების ჩამოყალიბება	მცენარეთა კომიტეტის 24-ე შეხვედრაში და კომიტეტის ევროპის ნაწილის რეგიონულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		<p>CITES კონვენციის დანერგვაზე პასუხისმგებელი პირი მუდმივად იყო ჩართული მცენარეთა და მუდმივმოქმედი კომიტეტების ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, მათ შორის ხელოვნურად მოშენებული მცენარეების შესახებ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომლის წევრი ასევე არის ევროკავშირიც. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ქართული კომპანიების მიერ თეთრყვავილას (<i>Galanthus woronowii</i>) ექსპორტი ხორციელდება ნიდერლანდების სამეფოში.</p> <p>2018 წლის ივლისში კონვენციის დანერგვაზე პასუხისმგებელმა პირმა მონაწილეობა მიიღო CITES-ის მცენარეთა კომიტეტის 24-ე შეხვედრაში. ევროკავშირისა და საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით მცენარეთა კომიტეტმა დაამტკიცა რეკომენდაციები და ცვლილებების პროექტი კონვენციის რეზოლუციაში 11.11 მცენარეებით ვაჭრობის რეგულირების შესახებ. ცვლილებების პროექტი ასევე მიღებული იქნა კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის 70-ე შეხვედრაზე 2018 წლის 2 ოქტომბერს და დოკუმენტი განხილული იქნება მხარეთა კონფერენციის მე-18 შეხვედრაზე 2019 წელს.</p> <p>საქართველოს წარმომადგენელი გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მომავალი მხარეთა კონფერენციისათვის.</p>
	შერჩეული სახეობების მონიტორინგი	კონვენციის დანართებში ცვლილებების	მონიტორინგის ანგარიში	გარემოს დაცვისა და სოფლის		2018 წლის განმავლობაში განხორციელდა ონლაინ სავაჭრო პლატფორმების, ზოოლოგიური და ბოტანიკური მალაზიების, ასევე მცენარეთა

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	CITES-ის დანართებში შეტანის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით	წინადადებების შემუშავებასთან ან სხვა ქვეყნების მიერ მომზადებული წინადადების მხარდაჭერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ეროვნულ დონეზე არსებული მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მეშვეობით	საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია მცენარეთა მოპოვებული და ექსპორტირებული რაოდენობების შესახებ კონკრეტული სახეობების მიხედვით	მეურნეობის სამინისტრო		პროდუქტებით მოვაჭრე ჰიპერმარკეტების მონიტორინგი. გარდა ამისა, ექსპორტისა და იმპორტის შესახებ ინფორმაცია მოპოვებული იქნა სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-გვერდიდან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგის ანგარიშის მომზადება. ინფორმაცია მცენარეთა სახეობების ნიმუშების მოპოვებული და ექსპორტირებული ოდენობების შესახებ მიეწოდა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) სამდივნოს ყოველწლიური ანგარიშის სახით რომლის მიერაც მიწოდებული ინფორმაცია განთავსდება შესაბამის ვებ-გვერდზე
	შემოსავლების სამსახურისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება CITES-ის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით	სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების გაზრდილი კვალიფიკაცია	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა და დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		Flora and Fauna International-ის მხარდაჭერით, დაიწყო მებაჟეთა ტრენინგი. 2018 წლის 25 აპრილს, ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტების მებაჟეების ტრენინგი, ხოლო 23-24 მაისს ტრენინგი ჩატარდა დასავლეთ საქართველოში.  აშშ-ს საელჩომ საქართველოში მიიწვია აღსრულების ოფიცრები ველური ბუნების ტრეფიკინგის გამომძიებლების პროგრამაში მონაწილეობისათვის, რომელიც ორგანიზებული იყო კანონდარსრულების საერთაშორისო აკადემიის მიერ ბუდაპეშტში, უნგრეთი, 2018 წლის 10-21 სექტემბერს. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბაჟო დეპარტამენტის 9 წარმომადგენელმა.
	საქართველოს კანონის „ტყის კოდექსის“ მიღება	ტყის დაცვისა და ტყით სარგებლობის ეფექტური რეგულირება, რომელიც	მიღებული საკანონმდებლო აქტი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2018 წლის პირველ კვარტალში გაიმართა ტყის ახალი კოდექსის პროექტის საჯარო განხილვა, ხოლო მიღებული შენიშვნები აისახა დოკუმენტში რითიც ტყის კოდექსის კანონპროექტის შემუშავების პროცესი დასრულდა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		შესაბამისობაშია ევროკავშირის პრაქტიკასთან				2018 წლის მეორე კვარტალში ტყის კოდექსის პროექტი წარედგინა საქართველოს მთავრობას განხილვის მიზნით.
	კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების "ტყითსარგებლობის წესი", "ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესი" და "ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესი" ტყის კოდექსის კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა	ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო აქტების პროექტები	ტყის კოდექსის კანონის პროექტის სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისი ტყითსარგებლობის ტყის მოვლისა და აღდგენის, ტყის აღრიცხვა და მონიტორინგის შესახებ კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადება	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	შემუშავებულია "ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ", "ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" და "ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტების პირველადი სამუშაო ვერსიები, რომელთა გადამუშავება ტყის კოდექსის კანონპროექტის სამუშაო ვერსიასთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაიწყება კოდექსის პარლამენტის მიერ მიღების შემდეგ.
	ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემის განვითარება	ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემის გაუმჯობესება  ტყესთან დაკავშირებული მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობა	დარგობრივი საჭიროების შესაბამისად მოდიფიცირებული სისტემის ინსტრუმენტები  სისტემაში დამატებული ინვენტარიზაციის მონაცემები და ტყის მართვის გეგმები  შემუშავებული და დანერგილი გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) სივრცულ მონაცემთა ბაზის სტანდარტი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	შემუშავებულია „ტყისა და მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი“ სისტემის პლათფორმა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს: <ul style="list-style-type: none"> <li>• ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი (<a href="http://www.atlas.mepa.gov.ge">www.atlas.mepa.gov.ge</a>)</li> <li>• ღია მონაცემთა პორტალი (<a href="http://www.data.mepa.gov.ge">www.data.mepa.gov.ge</a>)</li> <li>• სამინისტროს შიდა გამოყენების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პორტალი / სერვერი (<a href="http://www.gis.mepa.gov.ge">www.gis.mepa.gov.ge</a>)</li> </ul> ვებ-პორტალის სრულყოფისა და გეოსაინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით, დასრულდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონის ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმების სივრცულ და ატრიბუტულ მონაცემთა დამუშავება GIS სისტემაში.  სამინისტროში განთავსდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (Arc GIS) სერვერი და კომპიუტერული მოწყობილობა.

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>შემუშავდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (ArcGIS Desktop, ArcGIS online/Server, Web-portal) ტრენინგის მოდული სამინისტროს ქვეუწყებების თანამშრომლებისთვის.</p> <p>თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჭირო მონაცემების შექმნის მიზნით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. არასამთავრობო ორგანიზაციამ (მწვანე ალტერნატივა) მოამზადა დაცული ტერიტორიების სისტემის თემატური რუკები, სადაც ასახულია ბუნების დაცვის ზონები;</li> <li>2. არასამთავრობო ორგანიზაციამ (NACRES) „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელა ტყის ჰაბიტატების კარტოგრაფირება ბუნების საინფორმაციო სისტემის (EUNIS) კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით;</li> <li>3. არასამთავრობო ორგანიზაციამ (CENN) კვლევის ფარგლებში მოამზადა ტყით დაფარული ფართობებისთვის ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკა;</li> <li>4. კომპანია GISLAB-მა შექმნა საპილოტე ტერიტორიის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის სატყეოს 4,500 ჰა) ტყის საფარის რუკა და რასატრული მონაცემები;</li> </ol>
	ევროკავშირის დამოზილებების პროექტის „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ განხორციელება	სატყეო სექტორის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის შეფასება ევროკავშირის სტანდარტებთან მიმართებით და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;	სატყეო სექტორის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შეფასების ანგარიში;  ჩატარებული ტრენინგების და სემინარების რაოდენობა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საგარო საქმეთა სამინისტრო  სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;  სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო;	<p>2018 წლის 24 იანვარს ჩატარდა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ლიტველმა და უნგრელმა ექსპერტებმა სატყეო სექტორის სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებასა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცდილება გაუზიარეს სამინისტროს თანამშრომლებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს.</p> <p>2018 წლის 11 აპრილს ჩატარდა სემინარი საქართველოს სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის</p>



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		გარემოსდაცვითი ზედამხედველობის შესაძლებლობათა გაძლიერება				<p>ევროკავშირის მერქნის რეგულაციასთან ჰარმონიზების საკითხებზე.</p> <p>2018 წლის 18 აპრილს გაიმართა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ევროპელმა ექსპერტებმა სამინისტროს და სატყეო სააგენტოს თანამშრომლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს გააცნეს ლიტვაში, უნგრეთსა და სლოვაკეთში მოქმედი ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემების მოდელები, იმსჯელეს მათ მნიშვნელობასა და სპეციფიკაზე.</p> <p>2018 წლის 29 აპრილიდან 4 მაისის, აგრეთვე 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით, ევროკავშირის მერქნის რეგულაციების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკისა და ტყითსარგებლობის საკითხების გაცნობის მიზნით, ტყის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ უნგრეთში.</p> <p>2018 წლის 7 ივნისსა და 5 სექტემბერს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა პროექტის „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროექტის შუალედური შედეგები და დაგეგმილი ქმედებები.</p> <p>გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია. შეხვედრის ფარგლებში საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის ექსპერტებმა სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს გაუზიარეს ევროკავშირში ტყის მდგრადი მართვის, უკანონო ხე-ტყით სარგებლობის აღკვეთისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის შესახებ გამოცდილება.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>2018 წლის 17 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით ლიეტუვის სატყეო სექტორის, ტყის რესურსების მონიტორინგის, ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების, აგრეთვე ტყის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაცნობის მიზნით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ლიეტუვის რესპუბლიკაში. პროექტის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა 2018 წლის 22 ნოემბერს, რომელსაც ესწრებოდა ლიეტუვას გარემოს დაცვის მინისტრი, აგრეთვე უნგრეთისა და სლოვაკეთის სატყეო სექტორის წარმომადგენლები.</p>
	<p>თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის განვითარება</p>	<p>თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება; თევზჭერის მონიტორინგის ევროპული პრაქტიკის გაზიარება</p>	<p>რეალურ დროში თევზჭერი გემების ადგილმდებარეობის განსაზღვრა</p> <p>ჩატარებული ტრენინგებისა და დატრენინგებული ადამიანების რაოდენობა</p>	<p>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p> <p>სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური</p> <p>სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო</p>	<p>თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა დანერგოდა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში, ხოლო მისი პარამეტრების შესაბამისობა ევროპის სტანდარტებთან უზრუნველყოფილი იქნება GFCM-ის ტექნიკური დახმარების საფუძველზე.</p> <p>2018 წლის 18-20 იანვარს ქალაქ ვიგოში, EFCA-ს მიერ ჩატარდა შავი ზღვის ქვეყნების შეხვედრა ნებაყოფლობითი ზედამხედველობის და ინსპექტირების პილოტური პროექტის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.</p> <p>2018 წლის 11-12 აპრილს, რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) და ევროპის თევზჭერის კონტროლის სააგენტოს (European Fisheries Control Agency (EFCA)) ერთობლივი ინიციატივით დაგეგმილ ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამმა თანამშრომელმა.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2018 წლის 23 – 27 აპრილს, ასევე ჩატარდა შეხვედრა ესპანეთის ქ. ვიგოში, სადაც სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო რუმინეთის და ბულგარეთის იურისდიქციის ქვეშ არსებულ წყლებში თევზჭერის კონტროლის განხორციელებაში, რაც გულისხმობდა კონტროლის პროცესზე დაკვირვებას EFCA-ს ოფისის საკოორდინაციო ცენტრიდან.</p> <p>2018 წლის 29 მაისს ქალაქ ბურგასში, GFCM-ისა და EFCA-ს ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა ინტეგრირებული მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებების პილოტური პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა.</p> <p>2018 წლის 30 მაისს ქალაქ ბურგასში გაიმართა BlackSea4Fisheries პროექტის მაკოორდინირებელი შეხვედრა. ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) და ევროპის თევზჭერის კონტროლის სააგენტოს (European Fisheries Control Agency (EFCA)) ერთობლივი ინიციატივით, 2018 წლის სექტემბრის თვეში European Fisheries Control Agency (EFCA)-ს ექსპერტის მიერ საქართველოში, კერძოდ ბათუმში გადამზადდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შვი ზღვის კონვენციური სამმართველოს 8 თანამშრომელი, რომლებიც აკონტროლებენ სარეწაო თევზჭერის პროცესს.</p>
	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმებიდან გამომდინარე ეროვნულ დონეზე განსაზღვრული	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული „წვლილის დოკუმენტთან“ დაკავშირებით გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო	შემუშავებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის სამუშაო ვერსია	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2018 წლის 26 დეკემბერს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით პროექტის "პარიზის შეთანხმების განხორციელებისთვის გამჭვირვალობის ინტეგრირებული მექანიზმი საქართველოში" ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე სამინისტრომ წარადგინა ეროვნულ დონეზე

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	წვლილის დოკუმენტის (NDC) სამუშაო ვერსიის შემუშავება	კონვენციის პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება				განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი და დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა მოსაზრებების გაზიარება თითოეულ კომპონენტზე 2019 წლის პირველი კვარტლისთვის. ამავე შეხვედრაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ენერჯეტიკის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების მართვის სექტორებში შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირებისთვის.
	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი მე-4 ეროვნული შეტყობინების შემუშავების დაწყება	მე-4 ეროვნულ შეტყობინებასთან დაკავშირებით გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	კლიმატის ცვლილების სცენარების სამუშაო ვერსია; ეროვნული შეტყობინების პროცესის განსაზღვრული ფორმატი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების შემუშავება“. მომზადდა პროექტის სამოქმედო გეგმა, გასაუბრების შედეგად შეირჩნენ სხვადასხვა დარგის ექსპერტები, რომლებიც მოამზადებენ ეროვნული შეტყობინებისთვის თავისი დარგის შესაბამის ნაწილებს (ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, ექსტრემალური მოვლენები და სხვ.)  2018 წლის 27 დეკემბერს პროექტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც დამსწრე საზოგადოებას წარედგინა ეროვნული შეტყობინების სამუშაო ფორმატი და კლიმატის ცვლილების სცენარების დამუშავების საკითხი. შეხვედრაზე შეთანხმდა ეროვნული შეტყობინების შემუშავების პროცესის ფორმატი.
	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი მე-2 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის“ (BUR) სამუშაო ვერსიის შემუშავება	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	„ორწლიანი განახლებადი ანგარიშის“ შემუშავებული სამუშაო ვერსია	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		მომზადდა "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს: 2014-2015 წლებისათვის სათბური გაზების ინვენტარიზაციის ანგარიშს, ეროვნული თავისებურებების, შერბილების ქმედებებისა და მათი ეფექტების, გაზომვის, ანგარიშებისა და დადასტურების (MRV) თავებს.
	"კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით	სატრანსპორტო სექტორისათვის "კლიმატის	გარემოს დაცვისა და სოფლის		გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) პროექტის "ადმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	2021-2030" სამუშაო ვერსიის შემუშავება სატრანსპორტო სექტორისათვის	ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030" სამუშაო ვერსიის მომზადება	მეურნეობის სამინისტრო		<p>განვითარება კლიმატის ცვლილების სფეროში ევროკავშირის მიერ დასახულ მაჩვენებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით“ ფარგლებში, მიმდინარეობს „კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030“ სამუშაო ვერსიის შემუშავება. მომზადებულია სამოქმედო გეგმის „გზამკვლევი“. გაიმართა შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.</p> <p>2018 წლის 19-21 სექტემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განვითარების შესახებ, სადაც უწყებათაშორისი დიალოგის ფორმატში კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის, მათ შორის ტრანსპორტის თავის შემუშავებისას თითოეული დაინტერესებული მხარის მონაწილეობის საკითხი იქნა განხილული.</p> <p>2018 წლის 1 ნოემბერს გაიმართა ტრანსპორტის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, სადაც განხილული იქნა საქართველოში სატრანსპორტო სექტორში დაგეგმილი ღონისძიებები.</p> <p>შესაბამისი უწყებებიდან მიღებული კომენტარების გათვალისწინებით მომზადდა "კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030" წინასწარი სამუშაო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის.</p>
	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ	გაზრდილი ცნობიერება დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის	საინფორმაციო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		<p>„შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს ინსპექტირება ჩატარდა 216 კომპანიაში, რომლის დროსაც აგრეთვე ვრცელდებოდა საინფორმაციო ბროშურები.</p> <p>“შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად 2018 წლის აგვისტოდან შემოწმდა 90-მდე კომპანია.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>2018 წლის 23 თებერვალს, ქ. ქუთაისში შპს „იბერი სტარ გრუპის“ 40 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრეინინგი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, მშენებლობის უსაფრთხოებისა და ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაციის პროცედურების შესახებ.</p> <p>2018 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში სს „საქართველოს სათბურების კორპორაციის“ 15 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრეინინგი შრომის უსაფრთხოების შესახებ;</p> <p>2018 წლის 11 მაისს, ქ. თბილისში შპს „ელემენტ ქონსტრაქშენის“ 15 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრეინინგი შრომის უსაფრთხოების შესახებ;</p> <p>2018 წლის 18-19 ივნისს, ქ. ტყიბულში კომპანია „GIG“ 30 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრეინინგი შრომის უსაფრთხოების შესახებ.</p> <p>2018 წლის 14 აგვისტოს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“, სადაც ასოციაციის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 200 ადამიანი.</p> <p>2018 წლის 25 აგვისტოს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. გორში, სადაც შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 70 ადამიანი.</p> <p>2018 წლის 27 აგვისტოს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში, „საქართველოს პროფესიული გაერთიანებაში“, სადაც</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>გაერთიანების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 50 ადამიანი.</p> <p>2018 წლის 11 სექტემბერს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ.ბათუმში, სადაც აჭარის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 70 ადამიანი.</p> <p>2018 წლის 14 სექტემბერს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ქუთაისში, სადაც იმერეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 90 ადამიანი.</p> <p>2018 წლის 17 ოქტომბერს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში, სადაც „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 120 ადამიანი.</p> <p>2018 წლის 5 ნოემბერს, 11 დეკემბერს და 21 დეკემბერს საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში, სადაც საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს, ბიზნესის გაერთიანებებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან დაკავშირებით. შეხვედრებს ესწრებოდა 50 ადამიანი.</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						2018 წლის 15 ნოემბერს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისა და სსიპ "ადამინით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" წარმომადგენლების მიერ ერთობლივი შეხვედრა ჩატარდა ქ. თბილისში, სადაც ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრ ორგანიზაციებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდა 40 კომპანიის წარმომადგენელი.
	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	საწარმოებში ბავშვთა შრომის გამოყენების შემცირება	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების "იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ფარგლებში, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 154 კომპანიის ინსპექტირება, რომლის დროსაც ყურადღება ეთმობოდა ბავშვთა შრომის შესახებ კომპანიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას.
	სოციალურ პარტნიორთა სამმხრივი კომისიის ფუნქციონირება	გამლიერებულია სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგი;	კომისიის შეხვედრების რაოდენობები	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია		2018 წლის 18 თებერვალს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით სოფელ კაჭრეთში გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც სოციალური პარტნიორები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა კომისიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და შემუშავდა კომისიის საქმიანობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე დამტკიცდა 2018 წლის 19 აპრილს. რაც შეეხება რეგიონულ დონეზე



ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>სოციალური პარტნიორობის განვითარებას, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე (2017 წლის 10 თებერვალი) მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შექმნის შემდეგ საქართველოში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობასთან ერთად დაიგეგმა რიგი ღონისძიებები. მათ შორის ტრენინგები კომისიის წევრთათვის, რომელიც ჩატარდა 22-23 სექტემბერს ქ.ბათუმში.</p> <p>2018 წლის 19 აპრილს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მოთხოვნით ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რიგგარეშე მეოთხე სხდომა, ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში დასაქმებულ პირთა სოციალური შედავათებისა და შახტებში შრომის უსაფრთხოების საკითხების განხილვის მიზნით.</p> <p>კომისიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც შახტში მომუშავეთა სოციალურ შედავათებზე იმუშავეს. ასევე, „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფი“-ს მინდელის სახელობის შახტში შრომის უსაფრთხოების პირობებზე აუდიტი განხორციელდება. პროცესში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ჩაერთვებიან.</p> <p>2018 წლის 19 აპრილის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სახელით მიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა მომხდარიყო შრომის საერთაშორისო</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ორგანიზაციის ჩართულობით „საქნახშირი (ჯი აი ჯი ჯგუფი)“-ს მინდელის სახელობის შახტაში შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის შემოწმება/შეფასება და შესაბამისი ექსპერტული დასკვნის მომზადება, მიმართვის საფუძველზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ პროცესში ჩასართავად და ტყიბულის შახტებში უსაფრთხოების პირობების აუდიტის განსახორციელებლად, რეკომენდაცია გაუწია 4 საერთაშორისო შესაბამისი გამოცდილებისა და რეპუტაციის მქონე კომპანიას. ამ პროცესის პარალელურად, ქ. ტყიბულის მინდელის სახელობის შახტებში შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის შემოწმების/შეფასების განხორციელების სურვილი გამოთქვა კიდევ ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „DMT GmbH &amp; Co. KG“ და სამინისტროს შესთავაზა ინსპექტირების განხორციელება.</p> <p>საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოწვეულ იქნა სამმხრივი კომისიის სხდომა. სხდომა ჩატარდა 2018 წლის 7 სექტემბერს, სადაც ერთობლივად, კომისიის მიერ მოწონებულ იქნა „DMT GmbH &amp; Co. KG“.</p>
<b>გამჭვირვალობა</b>						
<p>ასოციაციების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და დაკავშირებული საკითხები:</p> <p>ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას, გამჭვირვალობის ვალდებულებების</p>	<p>DCFTA-ის შესახებ ვებ-გვერდის შემდგომი განვითარება</p>	<p>DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირება და ამაღლებული ცნობიერება</p>	<p>მუდმივად განახლებული და ფუნქციონირებადი ვებ-გვერდი</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>DCFTA-ს განხორციელებაში ჩართული უწყებები</p>	<p>მუდმივად მიმდინარეობს აღნიშნული ვებ-გვერდის <a href="http://www.dcfta.gov.ge">www.dcfta.gov.ge</a> განახლება, კერძოდ: საიტზე განახლდა ვაჭრობის სტატისტიკა 2018 წლის 11 თვის მონაცემებით; შენიშვნებისთვის გასაჯაროვდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროებში; მოხდა დაინტერესებული პირების დახმარება საიტზე განთავსებულ საკონტაქტო მეილზე შემოსულ კითხვებთან დაკავშირებით; ვებგვერდზე ინტეგრირებულ კალენდარში</p>

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
იმპლემენტაციისთვის მომზადება და ამ კუთხით, საჭირო მექანიზმების ამუშავების შესაძლებლობის განხილვა.						განთავსდა DCFTA-ისთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. 2018 წელს dcfta.gov.ge ვებგვერდს 20 ათასზე მეტი მომხმარებელი ყავდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3-ჯერ მეტია. საიტით ძირითადად სარგებლობენ ქართველი მომხმარებლები, თუმცა, ვებგვერდს ასევე აქტიურად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნიებიდან, მათ შორის: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და სხვ.
	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის გაზრდა	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2018 წლის 4 ოქტომბერს გაიმართა DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის მეექვსე შეხვედრა. შეხვედრაზე, საკონსულტაციო ჯგუფის წესდების შესაბამისად, ჯგუფის წევრებმა აირჩიეს ახალი თავმჯდომარე და თავჯდომარის მოადგილე, რომელებიც უხელმძღვანელებენ ჯგუფის მუშაობას მომავალი ერთი წლის განმავლობაში. შეხვედრაზე განიხილეს საამშენებლო პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების და ამოქმედების ვადები. ასევე მოხდა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის DCFTA-ის საინფორმაციო ცენტრების საქმიანობის და ამ პროექტის შედეგების პრეზენტირება. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია 2018 წლის განმავლობაში DCFTA-ის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის და DCFTA-ს სფეროში უახლესი მიღწევების შესახებ.
	DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა და ამაღლებული ცნობიერება	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ კერძო და საჯარო სექტორის შორის დიალოგის ფარგლებში ჩატარდა 2 რეგიონალური სამუშაო შეხვედრა (22 თებერვალს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და 23 თებერვალს, ქ. ქუთაისში) მრგვალი მაგიდის ფორმატით, რომელიც DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციას მიემდგნა. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იყო

ასოციაციების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან					<p>ორგანიზებული და ევროპული პროექტის - „ასოციაციების ხელშეწყობის განხორციელების ხელშეწყობა“ - მხარდაჭერით ჩატარდა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობა ჯამში მიიღო 270-მა ადგილობრივმა მეწარმემ მათ შორის მეღვინეობის, ტურიზმის, მეფუტკრეობის, სასათბურე მეურნეობის, ხე-ტყის წარმოების, ხილის წარმოების, მევენახეობის, ჩაის წარმოების და სხვა სექტორებიდან.</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში. 2018 წლის განმავლობაში სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ 4 შეხვედრას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან და ოკუპირებული ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან, DCFTA-ს სარგებელზე, ვალდებულებებზე და მისი განხორციელების პროცესზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. შეხვედრები გაიმართა ქვემო ქართლის რეგიონში - დმანისსა და გარდაბანში; ხოლო კახეთის რეგიონში - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. კაბალსა და ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩანტლისყურეში.</p> <p>2018 წლის 19 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და ჩეხეთის მთავრობის დაფინანსებითა გამართულ რეგიონალურ შეხვედრაში რომელიც ეძღვნებოდა DCFTA-ს და მის შესაძლებლობებს სამეგრელო ზემო-</p>

ასოცირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სვანეთის მდგრადი რეგიონალური განვითარებისათვის. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფერმერები და კოოპერატივების წარმომადგენლები.
<b>DCFTA-ს კოორდინაცია</b>						
ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია.	DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	DCFTA-ს განმახორციელებელ უწყებებს შორის გაუმჯობესებულ ული კოორდინაცია და DCFTA-ს ვალდებულებების ეფექტური და დროული შესრულების უზრუნველყოფა	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	DCFTA-ს განხორციელებაში ჩართული უწყებები	<p>2018 წლის 8 მაისის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის ორმოცდამეჩვიდმეტე ხდომავზე მოწონებულ იქნა 2018-2020 წლების DCFTA-ს სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი. სამწლიანი გეგმა საშუალებას იძლევა დაიგეგმოს და ეფექტიანად განხორციელდეს DCFTA-ს ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. გეგმა შესაძლებლობას იძლევა გრძელვადიანად დაიგეგმოს სხვადასხვა ღონისძიებები რომელთა განხორციელებაც უნდა მოახდინონ შესაბამისმა უწყებებმა DCFTA-ს ვალდებულებებიდან გამომდინარე.</p> <p>2018 წლის 7 სექტემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის მეცხრე სხდომა. შეხვედრის ფარგლებში ქვეკომისიის წევრებმა განიხილეს DCFTA-ს განხორციელების 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა და 2018 წლის 20 სექტემბერს ქ. ბრიუსელში დაგეგმილი DCFTA-ის მინისტრიალის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრას ესწრებოდა DCFTA-ის განხორციელებაში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი.</p> <p>2018 წლის 4 დეკემბერს ჩატარდა DCFTA-ს განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის მეათე სხდომა. საკოორდინაციო ჯგუფმა სხდომის ფარგლებში</p>

ასოციირების შესახებ შეთანხმება	აქტივობის აღწერა	აქტივობის შედეგი	ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>განიხილა DCFTA-ს განხორციელების 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა; 2018 წლის 17-18 დეკემბერს ქ. ბრიუსელში დაგეგმილი სავაჭრო საკითხებზე ასოციირების კომიტეტის შეხვედრის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები; DCFTA-ის განხორციელების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მდგომარეობა.</p>